ინდიკატორი .3.1.2.2	*სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;*	*სკოლას ეძლევა რჩევა შინაგანაწესში (ან მისთვის სასურველ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში), გაწეროს პრევენციული და ინტერვენციული მარტვის პოლიტიკა.*
ინდიკატორი 3.1.2.6	*სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი*	*სკოლას ეძლევა რჩევა, პრაქტიკაში განახორციელოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების აქტივობები*
ინდიკატორი 3.3.1.1.	*სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნებაპროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად*	*სკოლას ეძლევა რჩევა საქმიანობა განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში გაწერილი ციკლის შესაბამისად*
ინდიკატორი 3.3.1.3.	*სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;*	*სკოლამ მის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში - გადაწყვეტილებებში დაამატოს პუნქტი, ამავე სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესის შესახებ*
ინდიკატორი .3.4.1.5.	*სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას*	*სკოლას ეძლევა რჩევა განაახლოს "პერსონალური მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების რეგულაციები" და ამოიღოს ჩანაწერები მატერიალური ჟურნალის შესახებ, რადგანაც მატერიალური ჟურნალი აღარ გამოიყენება.*
ინდიკატორი .3.5.1.1.	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესირსსმინიმუმ ავტორიზაციის ვადითა დადადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით*	*სკოლას ეძლევა რჩევა საჯარო რეესტრის ამონაწერში გააკეთოს ჩანაწერის ისეთი ცვლილება, რომ შესაძლებელი იყოს სკოლის იდენტიფიცირება (ან სკოლის ნომრით ან/და საიდენტიფიკაციო ნომრით) და ასევე შესაძლებელი გახდეს სარგებლობის ვადის/უვადობის დადგენა*

სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი 4.1.2.3.	*სკოლის მიერ განსაზღვრული ყველა მომსახურეობის სახეების, პირობების პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახირეობისთვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის სიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი*	*სკოლას ეძლევა რჩევა ვებგვერდზე განათავსოს ყველა მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია*
ინდიკატორი 4.2.1.1.	*სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმები*	*სკოლას მიეცა რჩევა შექმნას დოკუმენტი იმის აღსაწერად, რასაც რეალურად აკეთებს ამ მიმართულებით.*

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის სახელწოდება)**	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.2.	*დაწყებითი საფეხური კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს(გლობალურ-ფუნქციური უნარები,ნუნარი,მაკრო ცნებები,სამიზნე ცნებები და შედეგები)*	

ინდიკატორი 2.1.2.3.	*დაწყებითი საფეხური სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს*	
ინდიკატორი 2.1.2.4.	*დაწყებითი საფეხური განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს*	
ინდიკატორი N 2.2.2.4.	*დაწყებითი საფეხური შეფასების სიტემა არის ვალიდური,გამჭირვალე,სანდო,ობიექტური,სამართლიანი*	
ინდიკატორი N 2.2.2.6.	*დაწყებითი საფეხური სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.*	
	დაწყებითი საფეხური	

ინდიკატორი 2.3.2.4	*შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით*	
ინდიკატორი N 2.1.2.4	***საგაზო საფეხური*** *განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს*	
ინდიკატორი N 2.2.2.4.	***საგაზო საფეხური*** *შეფასების სიტემა არის ვალიდური,სანდო,გამჭირვალე, ობიექტური, სამართლიანი*	
ინდიკატორი N 2.2.2.6	***საგაზო საფეხური*** *სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებები ს სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.*	
ინდიკატორი 2.1.1.3.	***საშუალო საფეხური*** *კურიკულუმი შემუშავებულია სასოლო საზოგადოების მიერ*	
ინდიკატორი 2.1.2.1	*საშუალო საფეხური* *შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას*	
ინდიკატორი N 2.1.2.4	***საშუალო საფეხური***	

	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს	
ინდიკატორი 2.2.2.4.	*საშუალო საფეხური შეფასების სისტემა არის ვალიდური,სანდო, ობიექტური, სამართლიანი*	
ინდიკატორი 2.2.2.6.	*საშუალო საფეხური სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მინაცემების/ინფორმაციის /მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენასვას არანაკლებ 3 წლის ვადით*	

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ექსპერტთა მიერ არგუმენტირებული პოზიცია გაზიარებულ იქნა პირველ მესამე და მეოთხე სტანდარტთან მიმართებაში, ხოლო მეორე სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულების პოზიცია გაზიარებულ იქნა ნაწილობრივ

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღში სწავლება ხორციელდება ანთროპოსოფიულ ადამიანთმცოდნეობაზე დაფუძნებული საერთაშორისოდ აღიარებული ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებით. სკოლის მისია, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმაშია, ძირითადად წარმოადგენს ვალდორფის პედაგოგიკის და სკოლის საქმიანობის აღწერას. მისი მოცულობითი ნაწილიდან მხოლოდ ერთი წინადადება შეიძლება აღქმული იყოს, როგორც მისია, რომლის თანახმად სკოლის მიზანია აღზარდოს თავისუფალი პიროვნება, რომელსაც გაცნობიერებული აქვს ინდივიდუალური პასუხისმგებლობა და თავად საზღვრავს საკუთარ ადგილს თანამედროვე საზოგადოებაში. სკოლის მისია არ მოდის წინააღმდეგობაში ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, მაგრამ განსხვავდება სკოლის ვებგვერდზე

გამოქვეყნებული მისიისგან (ვებგვერდის დათვალიერების თარიღი 16.08.2023. იხ. https://www.waldorfschule.edu.ge/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90). ვიზიტის დასაწყისში სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა ხედვა და ღირებულებები, ვიზიტის დროს კი გამოგზავნეს ხედვისა და ღირებულებების ამსახველი ელექტრონული დოკუმენტი (პროექტი), რომელშიც ხედვად წარმოდგენილია არა მისიის შესრულების საშუალოვადიანი, გაზომვადი მიზნები, არამედ იმის აღწერა, თუ რას წარმოადგენს ვალდორფის სკოლა და რას აკეთებს სკოლა მოსწავლეთა განვითარებისთვის." აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებას, რის შემდეგაც საბოლოო მისიას და სასკოლო გეგმას განათავსებს ვებგვერდზე. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.10.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია გაძღოლის კონფერენცია, სკოლის გამგეობა, კომუნიკაციის მენეჯერი.

2. სკოლის მისია და ვიზიტის დროს წარმოდგენილი ხედვისა და ღირებულებების პროექტი განსაზღვრულია ვალდორფის პედაგოგიკით, რომლის ამოსავალი წერტილი ბავშვის და მოზარდის ინდივიდუალურ განვითარებაზე დაკვირვება, მათი შესაძლებლობების და პოტენციალის გამოვლინება და მისი ხელშეწყობაა. სკოლას აქვს როგორც შიდა ისე გარე სივრცეები, სადაც ახორციელებს მრავალფეროვან ფორმალურ და არაფორმალურ აქტივობებს. სკოლაში არსებული ფოიე გამოყენებულია, როგორც საგამოფენო სივრცედ, სადაც მოსწავლეთა ნამუშევრებია გამოფენილი, წახალისებულია მოსწავლის შემოქმედებითობა და უზრუნველყოფილია მისი აღიარება. სკოლას გამოყოფილი აქვს დარბაზები თეატრალური დადგმებისთვის, ეფექტურად არის გამოყენებული სკოლის საკმაოდ კეთილმოწყობილი ეზო სასკოლო ღონისძიებებისთვის, ეზოს მოწყობაში, კი ჩართულია სასკოლო საზოგადოება და განსაკუთრებით მშობელთა ნაწილი. ყოველივე ეს ქმნის სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. „სკოლის მისია წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის (2022-2023 სასწ.წ.) ნაწილს, რომელიც შემუშავდა გაძღოლის კონფერენციის მიერ პედაგოგიური კონფერენციის და კათედრების მონაწილეობით, როგორც ეს გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკასა და სკოლის შინაგანაწესში. ანუ შეიძლება ითქვას, რომ მისიის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების პედაგოგიური ნაწილი, მაგრამ სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების ჩართვის დამადასტურებელი მტკიცებულება სკოლას არ წარმოუდგენია. **ანალოგიურად არ ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაში,** რომელიც სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს მისიის ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართვას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 27.10.2023-10.11.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად გამოყოფილია სკოლის გამგეობა და სკოლის საერთო კრება.

4. „სკოლის მისია, როგორც აღინიშნა, შესაძლოა გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების ერთი ნაწილის, მხოლოდ სკოლის თანაამშრომლებისთვის (შემუშავებაში მათი ჩართულობის გათვალისწინებით), მაგრამ ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი რადგან ჯერ არ არის დამთავრებული, გაზიარებაც ვერ იქნება წარმოდგენილი.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს მისიის ხედვის და ღირებულებების მშობელთა და მოსწავლეთა მხრიდან გაზიარებასა და გაზიარების მტკიცებულებების მობილიზებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 27.10.2023-10.11.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია მშობელთა სათათბირო, მაღალი კლასების მოსწავლეთა სათათბირო, საქმეთა მმართველი.

5. „სკოლას მისია საჯაროდაა ხელმისაწვდომი რადგან სასკოლო გეგმის ნაწილია, რომელიც საჯაროდაა გამოტანილი სასკოლო დაფაზე და ასევე საჯაროდ დევს სკოლის ვებგვერდზე (თუმცა, როგორც აღინიშნა განსხვავებული ვერსიები). რაც შეეხება ხედვასა და ღირებულებებს, მათი შემუშავების პროცესი ჯერ არ არის დამთავრებული და ამდენად საჯაროობაც არ არის უზრუნველყოფილი.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს ხედვისა და ღირებულებების საჯაროობის უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ბოლო ვადად დაფიქსირებულია - 13.11.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია კომუნიკაციის მენეჯერი, სასწ. პროცესის კოორდინატორი, ტექნიკური მენეჯერი.

6. სკოლის დასახელება „ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი“ შეესაბამება მის სტატუსს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2022-2023 სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- სკოლის ვებგვერდი https://www.waldorfschule.edu.ge/%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლას ვიზიტის დასაწყისში არ ჰქონდა, თუმცა ვიზიტის ბოლოს გადმოაგზავნა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც, როგორც ჩანს **პროექტია, რადგან არ არის დამტკიცებული**, ვინაიდან არ ახლავს სკოლის მმართველი სტრუქტურული ერთეულის (სავარაუდოდ გამგეობის ან გაძღოლის კონფერენციის) მიერ დამტკიცების დამადასტურებელი აქტი (ბრძანება ან გადაწყვეტილება). მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული სტრატეგიულ დაგეგმარების დროს. მეთოდოლოგიით განსაზღვრულია, რომ სტრატეგიული დაგეგმარებისას გამოკვეთილი უნდა იყოს სტრატეგიული მიმართულებები მას შემდეგ, რაც მოხდება არსებული სიტუაციის გაანალიზება და სკოლის შესაძლებლობებისა და რისკების გამოკვეთა. დოკუმენტში **არ არის სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმები სტრატეგიული დაგეგმვისას**.“ აღნიშნული იყო ასახული

დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებას და დამტკიცებას, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 15.09.2023 - 20.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია გაძღოლის კონფერენცია, სკოლის გამგეობა, სასწ. პროცესის კოორდინატორი, საქმეთა მმართველი.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი და ის წინააღმდეგობაში არ მოდის სკოლის მისიასთან. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები, მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები. მართალია სკოლას აქვს სტრატეგიული შვიდწლიანი გეგმა (2023-2030 წწ), მაგრამ **სკოლას ეძლევა რჩევა კიდევ ერთხელ გადახედოს სტრატეგიულ გეგმას მას შემდეგ, როცა დასრულებს მუშაობას სკოლის ხედვისა და ღირებულებების შემუშავებაზე, ასევე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაზე. ამასთან სასკოლო საზოგადოების ჩართვის შემთხვევაში შესაძლოა სკოლამ გადახედოს მისიასაც.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. „სკოლის მიერ წარმოდგენილია 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში გამოყოფილია 5 ძირითადი მიმართულება: 1. სკოლის საკანონმდებლო ბაზის დამუშავება; 2. მოსწავლეებისთვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიღება; 3. სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; 4. ადამიანური რესურსის განვითარება; 5. უსაფრთხო და ნდობით აღსავსე, დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და ორგანიზაციული განვითარება;

   ზემოაღნიშნული მიმართულებებიდან პირველი ორი მიმართულება საერთოდ არ არის გათვალისწინებული სტარტეგიულ გეგმაში, მეხუთე მიმართულება სტრატეგიულ გეგმაში ჩაშლილია ორ მიმართულებად, ხოლო შვიდწლიან გეგმაში არსებული სტრატეგიული მიმართულება „მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება“ საერთოდ არ არის ერთწლიან გეგმაში. აქედან გამომდინარე ერთწლიანი გეგმა სრულად არ ეფუძნება სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმას. რაც

შეეხება ინდიკატორის მოთხოვნას, რომ ერთწლიანი გეგმა ეფუძნებოდეს სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ეს ვერ დასტურდება.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმის შედგენას, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან და შემუშავებულია ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაყრდნობით. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 13.11.2023 - 27.11.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია გაძღოლის კონფერენცია, სკოლის გამგეობა, სასწ. პროცესის კოორდინატორი, საქმეთა მმართველი.

4. „სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში მხოლოდ სტრატეგიული მიმართულებებია მოცემული, რომლებიც ჩაშლილია ამოცანებად. ამოცანები არ არის აქტივობებად გაწერილი, არ არის მითითებული შესრულების ვადები და პასუხისმგებელი პირები, არ არის განსაზღვრული ვადები და შესრულების ინდიკატორები.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სამოქმედო გეგმაში აქტივობების, აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორების, რეალისტური ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურული ერთეულების და შესაბამისი რესურსების განსაზღვრას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 13.11.2023 - 27.11.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია გაძღოლის კონფერენცია, სკოლის გამგეობა, სასწ. პროცესის კოორდინატორი, საქმეთა მმართველი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024წწ.);
- სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც სკოლამ ვიზიტის დროს გადმოაგზავნა მოიცავს სტარტეგიული დაგეგმვის შემდეგ საფეხურებს:
   - საკითხის წინასწარი განხილვა კოლეგიის ფარგლებში - საკითხების შეგროვება;
   - გეგმის პროექტის მომზადება;
   - პროექტის განხილვა;
   - პროექტის ფინანსური ნაწილის განხილვა - დაზუსტება;
   - გეგმის დამტკიცება.

   მათ შორის არ არის არც მონიტორინგის და არც შეფასების საფახურები. მხოლოდ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ნაწილში უწერია სკოლას, რომ <u>ყოველი წლის ბოლოს ფასდება მისი შესრულება, შესაბამისად ზუსტდება შემდეგი წლის ამოცანების და აქტივობების ნუსხა.</u> თუმცა ეს ჩანაწერიც ვერ ჩაითვლება მექანიზმად და საჭიროებს მეტ დაკონკრეტებას, თუ ვინ, რა

პერიოდულობით, რა მეთოდებით ახორციელებს ამ შეფასებას.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შემუშავებას, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 15.09.2023 - 20.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია გაძღოლის კონფერენცია, სკოლის გამგეობა, სასწ. პროცესის კოორდინატორი, საქმეთა მმართველი.

2. „სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში სკოლას არ წარმოუდგენია.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სტრატეგიული დაგეგმვის განახორციელებას მეთოდოლოგიის შესაბამისად. გამომდინარე აქედან დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 15.09.2023 - 20.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია გაძღოლის კონფერენცია, სკოლის გამგეობა, სასწ. პროცესის კოორდინატორი, საქმეთა მმართველი.

3. „სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმების ანგარიშები სკოლას არ აქვს და შესაბამისად არ აქვს გასაჯაროვებული.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 15.09.2023 - 20.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია კომუნიკაციის მენეჯერი, სასწ. პროცესის კოორდინატორი.

4. „მოქმედ სტრატეგიულ გეგმაში და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმაში არ ჩანს წინა წლების შეფასების გათვალისწინება.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს შესრულების ანგარიშის გამოყენებას სამომავლო სტრატეგიული დაგეგმვისას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში.

აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 01.07.2024 - 05.07.2024 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია გაძღოლის კონფერენცია, სკოლის გამგეობა, სასწ. პროცესის კოორდინატორი, საქმეთა მმართველი.

ინდიატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის პროექტი;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „დაწესებულების შინაგანაწესის მე-6 მუხლის მიხედვით სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ და საშტატო ერთეულებს: საერთო კრება, გამგეობა, გაძღოლის კონფერენცია, პედაგოგიური კონფერენცია, საგნობრივი კათედრები, მასწავლებელი, საქმეთა მმართველი, ტექნიკური მენეჯერი, ხარისხის მართვის ჯგუფი, დისციპლინური საბჭო, ბიბლიოთეკარი, მდივან-რეფერენტი, ექიმი, ფსიქოლოგი, იურისტი, ბუღალტერი, ტექნიკური პერსონალი. მათგან საერთო კრების ფუნქციები განსაზღვრულია წესდებაში, გამგეობის და გაძღოლის კონფერენციის - როგორც წესდებაში ასევე დამატებული ფუნქციებია შინაგანაწესში, ხოლო დანარჩენი სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები განსაზღვრულია შინაგანაწესით. აღსანიშნავია, რომ ამავე შინაგანაწესის მე-5 მუხლით განსაზღვრულია სკოლის **ხელმძღვანელი ორგანოები**: კავშირის საერთო კრება, გამგეობა, გაძღოლის კონფერენცია და საგარანტიო საბჭო. მათგან, რატომღაც, საგარანტიო საბჭო არ არის **სკოლის სტრუქტურულ ერთეულად** განსაზღვრული, მით უმეტეს, რომ წესდების §15-ის მიხედვით, ამ ორგანოს ნებართვებია საჭირო სკოლაში ზოგიერთი მმართველობითი ფუნქციის განსახორციელებლად. მაგალითად, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, რეორგანიზაცია/ლიკვიდაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები და ორგანიზაციის საქმიანობის მიზნებში ცვლილების დროს. გარდა ამისა სკოლის ვებგვერდზე მოცემულია სკოლის სტრუქტურის სქემატური გამოსახულება, რომელიც სრულად არ აღწერს შინაგანაწესით განსაზღვრულ სტრუქტურას. გარდა ამისა, შინაგანაწესის ზემოაღნიშნული მუხლი ტექნიკურ მენეჯერსა და ტექნიკურ პერსონალს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულად მოიხსენებს, ამის საპირისპიროდ შინაგანაწესის მე-20 მუხლი გვამცნობს, რომ სკოლის ტექნიკური პერსონალი მოიცავს ტექნიკურ მენეჯერსაც. სკოლის სტრუქტურაზე საუბარია ასევე დოკუმენტში „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა"; რომელიც შინაგანაწესში მოცემული სტუქტურის გავრცობილი (რამოდენიმე საშტატო ერთეულით) ვარიანტია." აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სხვადასხვა დოკუმენტებში სკოლის სტრუქტურა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების ერთგვაროვნად და მკაფიოდ განსაზღვრას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 02.10.2023-20.10.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია საქმეთა მმართველი, იურისტი.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულების/პირების ფუნქციები, რომლებიც აქვთ წესდებაში, ან შინაგანაწესში ან/და შრომით ხელშეკრულებებში მიემართება და ხელს უწყობს სკოლის ძირითადი საქმიანობის, ან/და ადმინისტრაციული ან/და დამხმარე პროცესების განხორციელება. პასუხისმგებლობები კარგადაა განაწილებული და არ იწვევს ურთიერთგადაფარვას. საბოლოო ჯამში, მათი ფუნქცია-მოვალეობები ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. თუმცა ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ შინაგანაწესის მიხედვით (მუხლი 9) გაძღოლის კონფერენცია ირჩევს მართვის საბჭოს სამ წევრს, ორი წლის ვადით, რომლის შემადგენლობაშია სასწავლო პროცესის კოორდინატორი, რომელსაც შინაგანაწესის მე-9 მუხლის 3-3 და 3-5 პუნქტებით განსაზღვრული აქვს გაძღოლის კონფერენციის საორგანიზაციო-განმკარგულებელ აქტზე-გადაწყვეტილებაზე და შეხვედრების სხდომის ოქმზე ხელის მოწერა. სხვა ფუნქციები შინაგანაწესით გაურკვეველია. **სკოლას ეძლევა რჩევა განსაზღვროს ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის უფლება-მოვალეობები.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის წესდება;

შინაგანაწესი;

შრომითი ხელშეკრულებები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი "ადამიანი რესურსების მართვის პოლიტიკა", რომელიც, ძირითადად. სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალია და მათი საქმიანობის აღმწერია. აღნიშნული დოკუმენტი, შინაგანაწესთან და წესდებასთან ერთად მოიცავენ პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხებსაც.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს პრაქტიკა საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების ჩანაცვლება/ შენაცვლების პრაქტიკის განხორციელებისა, მასწავლებელთა გაკვეთილზე ჩანაცვლების და შენაცვლების, რაც სკოლის დირექტორმა განმარტა ინტერვიუირებისას. გარდა ამისა სხვა თანამშრომელთა ჩანაცვლებაც ხორციელდება საჭიროებიდან გამომდინარე. მაგალითად ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა მდივან-რეფერენტი, მაგრამ მის მოვალეობას ასრულებდა სკოლის საქმეთა მმართველი, რომელიც ფაქტიურად სკოლის ხელმძღვანელ რგოლს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა სკოლას არ

ჰქონდა მკაფიოდ გაწერილი საჭიროებაზე დაფუძნებული პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა. სკოლას ეძლევა რჩევა შინაგანაწესში (ან მისთვის სასურველ ნებისმიერ სხვა დოკუმენტში), გაწეროს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. „სკოლის შემუშავებული არ აქვს კონკურსის გამოცხადების წესი. თუმცა მასწავლებლის ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში სკოლა კონკურს აცხადებს "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების შესაბამისად https://teacherjobs.ge/ -ზე. სკოლამ წარმოადგინა კიდეც ამის დამადასტურებელი ბმული - https://teacherjobs.ge/?position=&subject=&class=&school=203827083&district= მიუხედავად ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა საკონკურსო კომისიის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტი და როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკურსის გამოცხადების წესი.

   აღსანიშნავია, რომ სკოლაში ყველა დასაქმებულზე შექმნილია პირადი საქმეები, რომლებიც შეიცავენ მათი განათლების, კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა აუცილებელ დოკუმენტებს, თუმცა არა ყველას და სრულყოფილად. აღმოჩნდა პირადი საქმეები, რომლებშიც არ არის მათივე საქმისწარმოების წესის მე-8 მუხლის შესაბამისი - პირად საქმეში განსაზღვრული დოკუმენტები, მათ შორის ცნობა "ნასამართლობის შესახებ" (მხოლოდ მასწავლებლის შემთხვევაში). აქვე აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული წესით არ არის მოთხოვნილი ცნობები "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ" და "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ". შესაბამისად ეს ცნობები არც არის წარმოდგენილი პირად საქმეებში. სკოლას განემარტა, რომ თუ 2020 წლის 1 მაისის შემდეგ, კანონში ცვლილების მომენტიდან, სკოლას გადაგზავნილი აქვს წერილი შსს-ში და პერსონალის სია, ამ პერსონალს აღარ მოეთხოვება ცნობა "სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული

დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ" და მხოლოდ მას შემდეგ მიღებულმა თანამშრომლებმა უნდა წარმოადგინონ. აღმოჩნდა, რომ სკოლას გაგზავნილი აქვს ასეთი წერილი (იხ დამატებით გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში) და მხოლოდ 23 თანამშრომელია (ისინი ვინც მიღებულია სკოლის მიერ შსს-სთვის სიის გადაგზავნის შემდეგ), რომლებმაც აღნიშნული ცნობა უნდა წარმოადგინონ. განსხვავებით აღნიშნულისგან "საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმების უფლების ჩამორთმევის შესახებ" არც ერთ თანამშრომელს არ აქვს წარმოდგენილი, ხოლო „ნასანართლობის შესახებ" ცნობა არ აქვს მხოლოდ 6 მასწავლებელს." აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს ა) მასწავლებლის შესარჩევი საკონკურსო კომისიის შემადგენლობის და კონკურსის ჩატარების წესის განსაზღვრას, რომელიც შეესაბამება "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების მოთხოვნებს;

ბ) კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობების წარმოდგენისა და პირად საქმეებში განთავსების უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობების შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - ა) 04.12.2023-24.12.2023 / 24.08.2023-29.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია გაძღოლის კონფერენცია, სასწ. პროცესის კოორდინატორი, საქმეთა მმართველი.

4. „სახელმწიფოს მიერ დადგენილი კონკურსების წესებისა და მათში მონაწილეების (მასწავლებელი, მასწავლებლის მაძიებელი, სპეცმასწავლებელი, ექიმი) საკვალიფიკაციო მოთხოვნებს იცავს სკოლა (ეს ჩანს მის მიერ საავტორიზაციოდ წარმოდგენილ მასალიდან) და აქვს მზაობა მომავალშიც დაიცვას. რაც შეეხება სკოლას სხვა თანამდებობის პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, არ აქვს დადგენილი და შეუძლებელია დადგენა შეესაბამება თუ არა პერსონალის მიერ დაკავებული პოზიციები საკვალიფიკაციო მოთხოვნებს." აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც

დაწესებულება გეგმავს საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრას ყველა პოზიციისთვის. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 04.12.2023-24.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია გაძღოლის კონფერენცია, სასწ. პროცესის კოორდინატორი, საქმეთა მმართველი.

5. სკოლის ორგანიზაციულ მოწყობაში ძირითადად ისეთი სტრუქტურული ერთეულებია, რომელთა ფუნქციები გუნდურობას და გადაწყვეტილებების კოლეგიურ მიღებაზეა დაფუძნებული. მეტიც, ამ კოლეგიურ სტრუქტურულ ერთეულებში დიდი დოზითაა ჩართული მშობელი (მაგალითად საერთო კრება, გამგეობა). ასე, რომ გუნდური მუშაობა სკოლისთვის ჩვეული პრაქტიკაა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში წარმატების აღიარების მექანიზმად შეიძლება ჩაითვალოს წახალისების სისტემა, რომელიც სკოლის შინაგანაწესშია და რომელიც ითვალისწინებს პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის, ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის, ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის, განსაკუთრებული მნიშვნელობის ან/და კეთილსინდისიერი ხანგრძლივი სამსახურისთვის. გარდა ამისა, შინაგანაწესით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, რომელთა შორისაა ასეთი ფუნქცია: <u>6.2 კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.</u> თუმცა სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაკლებად მიმართავენ ამ აღიარება /გაზიარების აქტივობებს. **სკოლას ეძლევა რჩევა**, პრაქტიკაში განახორციელოს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების აქტივობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

თანამშრომელთა პირადი საქმეები;

მსს-ში გაგზავნილი წერილი;

სკოლის შინაგანაწესი;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლის შინაგანაწესის მე-9 მუხლის 3.31 პუნქტის თანახმად სკოლის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეული გაძღოლის კონფერენცია: ადგენს პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავს მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფს მათ გეგმაზომიერად განხორციელებას. მიუხედავად ამ ჩანაწერისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა როგორ, რა მეთოდით, რა ინსტრუმენტით ადგენს პედაგოგთა და მით უმეტეს, სხვა თანამშრომელთა პროფესიულ საჭიროებებს.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმების განსაზღვრას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 18.12.2023-29.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია ხარისხის მართვის ჯგუფი, სასწ. პროცესის კოორდინატორი, გაძღოლის კონფერენცია.
2. „რადგან საჭიროებათა დადგენა ვერ ხერხდება, ამიტომ საჭიროებაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარებაც ვერ განხორციელდება. თუმცა უნდა ითქვას, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს ასეთი აქტივობა, კერძოდ შინაგანაწესის მე-10 მუხლის 2.5 პუნქტით ხარისხის მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს: საგნობრივი კათედრების წევრთა კომპეტენციის ხარისხის შეფასებასა და მათი პროფესიული განვითარებისთვის ტრენინგების დაგეგმვა-განხორციელებას. სკოლამ ამ აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ წარმოადგინა.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აპირებს პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვას პროფესიული საჭიროებების საფუძველზე. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 08.01.2024-20.01.2024 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია ხარისხის მართვის ჯგუფი, სასწ. პროცესის კოორდინატორი, გაძღოლის კონფერენცია.

3. პერსონალის კარიერულ ზრდასთან დაკავშირებით, მართალია ტრენინგები ვერ იგეგმება პროფესიული საჭიროებათა გამოვლენის შედეგად, მაგრამ სკოლა მაინც უზრუნველყოფს ე.წ. ვალდორფის პედაგოგიკის ტრენინგებში მასწავლებელთა მონაწილეობას (თუმცა საკუთარი ხარჯებით). ეს ტრენინგები ორწლიანი ციკლით ხორციელდება და სკოლა ხელს უწყობს მასწავლებლისთვის მოსახერხებელი გრაფიკით ტრენინგების დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა ვერ ადასტურებს ახალ თანამშრომელთა მიმართებაში ჩამოყალიბებულ/დამკვიდრებულ ქცევას რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, თუმცა, როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, ისინი დაუგეგმავად, მაგრამ მაინც ახორციელებენ ასეთ აქტივობებს ახალი თანამშრომლის მიღებისას, ამასთან მზაობა გამოთქვეს, მომავლისთვის შეიმუშაონ ასეთი წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა მხარს უჭერს და ხელს უწყობს თანამშრომელთა მხრიდან საკუთარი ინიციატივით პროფესიული განვიტარების ინიციატივებს. ამის დასტურად სკოლის შინაგანაწესში მასწავლებლის უფლებების ჩამონათვალში არის ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც მასწავლებელს უფლება აქვს ისარგებლოს არაუმეტეს ერთწლიანი ანაზღაურების გარეშე შვებულებით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შინაგანაწესი;

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოდგინა დოკუმენტი - ხარისხის მართვის პოლიტიკა, რომელშიც აღწერილია რომ, სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის პრინციპით. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტამდე 2-3 თვით ადრე, იმყოფებოდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელთა ვიზიტის შემდგომ სკოლამ მონიტორინგის ჯგუფს წარუდგინა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც სკოლას ვალდებულება ჰქონდა აღებული, რომ შექმნიდა დოკუმენტს, რომელშიც გათვალისწინებული

იქნებოდა საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას შესრულებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აღნიშნული პუნქტი. **სკოლას ეძლევა რჩევა** საქმიანობა განახორციელოს დოკუმენტში გაწერილი ციკლის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას იდენტიფიცირებული არ აქვს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ძირითადი, დამხმარე და მმართველობითი პროცესები ერთ კონკრეტულ დოკუმენტში, თუმცა ისინი აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, სკოლის წესდებაში და შინაგანაწესში. ფაქტიურად, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას იდენტიფიცირებული აქვს ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესში მოცემულია „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი", რომელიც ეხება დისციპლინურ შესაძლო გადაცდომებს ვრცელდება ყველა დასაქმებულ პირზე, სკოლის მოსწავლეზე, მის მშობელზე. ამ ტიპის განცხადება/საჩივარზე დისციპლინურ წარმოებაში აღება/არ აღების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური საბჭო განცხადების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში (იხ. შინაგანაწესის მუხლი 38). გარდა ამისა საქმისწარმოების წესში ასევე არის განცხადების/საჩივრის მიღებისა და განხილვის ორგანიზება, რომელშიც ნათქვამია, რომ სკოლაში შემოსული ყველა განცხადება რეგისტრირედება საქმისწარმოების ჯგუფის მიერ. განცხადება განსახილველად ეგზავნება სკოლის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს და განცხადების შემომტანს პასუხი ეცნობება 10 სამუშაო დღის ვადაში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას გათვალისწინებული აქვს განცხადებებისა და საჩივრის პროცედურები, **სკოლას ეძლევა რჩევა**, რომ სრულყოფილად განახორციელოს გასაჩივრების შესაძლებლობებით სასკოლო საზოგადოების უზრუნველყოფა. კერძოდ, სკოლამ მის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებზე - გადაწყვეტილებებზე უნდა მიანიშნოს სამართლებრივი აქტის გასაჩივრების წესი, რომელიც არ არის აღნიშნული.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები დაცულია სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით; სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულებით და ასევე სკოლის შინაგანაწესით, რომელშიც მოცემულია პერსონალის ფუნქცია მოვალეობები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხარისხის მართვის პოლიტიკა;

სკოლასა და პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;

სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელთან დადებული მომსახურების ხელშეკრულება;

სკოლის შინაგანაწესი.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შინაგანაწესში გათვალისწინებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი, რომლის მიხედვითაც სკოლის მიერ მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევის წესის, გაკვეთილების გაცდენა–დაგვიანების შესახებ და სხვა სახის ინფორმაცია მშობლებამდე მიაქვს სკოლის ვებ–გვერდის, ელექტრონული ფოსტის, სატელეფონო ზარის, შეხვედრების, სკოლის განცხადებების დაფის გამოყენებით. ასევე ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა დაასახელეს წლექტრონული

ჟურნალი edupage. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას უზრუნველყოფს სკოლის წესდება, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულები რომელშიც მშობელს ჩართვის უფლება აქვს. ასევე კლასის მასწავლებელი/მზრუნველი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სტრუქტურული ერთეულები წარმომადგენლობითია, კერძოდ საერთო კრება, გამგეობა, გაძღოლის კონფერენცია, პედაგოგიური კონფერენცია. საერთო კრებაში შეიძლება ჩართული იყოს როგორც მშობელი, ასევე მასწავლებელი. გამგეობის 7 წევრიდან 3 გაძღოლის კონფერენციის წარმომადგენელი, ხოლო 4 ძირითადად მშობელთა (ან სხვა არა პედაგოგი წევრი) წარმომადგენლებისგან აირჩევა. გაძღოლის კონფერენცია, ისევ კოლეგიური ორგანოდა მის შემადგენლობაში მხოლოდ სკოლის თანამშრომლები არიან. ასეთივე წარმომადგენლობითია დისციპლინური საბჭო, რომლის შემადგენლობაში თაბარი რაოდენობით არიან მშობლების და პედაგოგების წარმომადგენლები; გარდა ამისა, სკოლის კოლეგიური ორგანოებია პედაგოგიური კონფერენცია, სადაც ყველა პედაგოგია ჩართული; საგნობრივი კათედრები, სადაც მასწავლებლები საგნობრივი მიმართულებით არიან გაერთიანებული. ხარისხის მართვის ჯგუფი; დისციპლინური საბჭო. ყველა ეს ორგანო უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის შესაძლებლობით, მათთვის განსაზღვრული ფუნქციების ფარგლებში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის წესდება;

შინაგანაწესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტი - საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა, რომელიც **შეთანხმებული არ არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რადგან ვიზიტის დროს სკოლას ეთხოვა წარმოედგინა შეთანხმების წერილი, რომელიც სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა.**

   სკოლამ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აკრედიტირებული შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ ორი დასკვნა. ერთი დასკვნა შედგენილია 2022 წლის 24 აგვისტოს, რომლის მიხედვით შენობაში სახანძრო უსაფრთხოება ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილ ნორმებს, ხოლო მეორე 2023 წლის 15 მაისის დასკვნა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. ამასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სკოლის სხვენის

ანტისეფტიკური ხსნარით დამუშავების დამადასტურეელი დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით სკოლამ შეასრულა მონიტორინგის ჯგუფისთვის წარდგენილი შესაბამისობის გეგმის ეს პუნქტი.

სკოლას ჰყავს ექიმი და აქვს ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია 2022 წლის 21 მარტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნების თანახმად. ექიმის კაბინეტში არის ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნების შესაბამისი ჟურნალები, თუმცა წარმოაბა ჯერ არაა დაწყებული. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო კაბინეტის აღჭურვის მიმართულებით სკოლამ შეასრულა მონიტორინგის ჯგუფისთვის წარდგენილი შესაბამისობის გეგმის ეს პუნქტი.

სკოლაში უსაფრთო გარემოს შექმნის მიზნით სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.

აღნიშვნის ღირსია სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობისას უსაფრთხოების დაცვის ინსტრუქციებს. ინსტრუქციების ამ კრებულშია უსაფრთხოების ინსტრუქცია დასუფთავების თანამშრომლებისთვის, საქვაბესთან მუშაობის ინსტრუქცია, უსაფრთხოების წესები ხელგარჯილობის გაკვეთილზე, სამუშაო ინსტრუმენტებთან უსაფრთხოდ მუშაობის ინსტრუქცია, უსაფრთხოების წესები ქიმიის გაკვეთილზე, უსაფრთხოების წესები ხატვის გაკვეთილზე და სხვა ინსტრუქციები.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც გეგმავს საგანგებო სიტუაციების რეაგირების გეგმის შეთანხმებას შესაბამის უწყებასთან. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 18.09.2023-29.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია იურისტი, ტექნიკური მენეჯერი, საქმეთა მმართველი.

2. „სკოლას დამტკიცებული აქვს "ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების შესაბამისი წესი, ასევე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება, თუმცა **ვერ წარმოადგინა ამ წესის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუმცა უნდა ითქვას, რომ სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი (სკოლაში რეგისტრაციის N71, 12.07.2023) დოკუმენტთან ერთად და ითხოვს შეთანხმებას.**

სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს მაგისტრთან, რომლის წარმომადგენლები მორიგეობენ სკოლის შესასვლელში მოწყობილ დაცვის ჯიხურში, დღეში ერთი მცველი, სულ სამი მცველი მორიგეობით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო სისტემები, რომლის გამოსახულება მონიტორზე აისახება დაცვის სამსახურის სამუშაო ჯიხურში.

გარდა ამისა, სკოლას განსაზღვრული ჰყავს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც განიხილავს სასკოლო დროს და სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის. გარდა ამისა, ეს ჯგუფი განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართულებით მასწავლებლების, მოსწავლეების, კანონიერი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული პრობლემებს და მათი მოგვარების მიზნით გადაწყვეტის გზების შესახებ ერთიან ანგარიშს წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ სკოლის ერთ-ერთი შენობა (შენობა N10) საზიაროა სკოლასთან არსებული ბაღისთვის, რომელიც ამ შენობის პირველ სართულზეა და ცალკე შესასვლელი აქვს და სკოლისთვის, რომელიც იყენებს ამ შენობის სარდაფს, მეორე სართულს და სხვენს. თუმცა არის სივრცე, მაგალითად ეზო, რომელიც საერთო სარგებლობლობაშია. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით ბაღის აღსაზრდელებისთვის უფრო წარმოადგენენ საფრთხეს სკოლის მოსწავლეები,

ვიდრე პირიქით, მაგრამ ზოგადი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, ბაღის სკოლასთან თანაარსებობის მიზანშეწონილობის საკითხს ბაღების ავტორიზაცია შეისწავლის.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც გეგმავს “ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის“ შეთანხმებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 12.07.2023-29.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია იურისტი, ტექნიკური მენეჯერი, საქმეთა მმართველი.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. ამ მიზნის მისაღწევად სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია სკოლის ფსიქოლოგის ფუნქციები, რომელთა შორისაა: სკოლაში ფსიქიკური ჯანმრთელობის და მოზარდთა ფსიქოლოგიური კეთილდღეობის ხელშეწყობა; ფსიქოლოგიური კვლევა მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კლიმატის და მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებების შესასწავლად; საჭირო ფსიქოლოგიური რეკომენდაციების გაწევა მოსწავლესთან დაკავშირებული პრობლემების მოსაგვარებლად ; გარდა ამისა, “უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების” ერთ-ერთი მიზანი სწორედ “ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაა”, ბრძანების მოთხოვნების შესრულებამ უნდა უზრუნველყოს სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც გაწერილია სკოლის სათავსოები (სველი წერტილები, დერეფნები, კაბინეტები, სახელოსნოები და სხვა) და მათი სანიტარულ-ჰიგიენური დამუშავების წესი (მითითებულია სველი წესით თუ მშრალი წესით, მითითებულია დამუშავების ხსნარები და სხვა), დამუშავების ვადები/პერიოდები, პასუხისმგებელი პირის მითითებით .

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ გარკვეულ წესს ადგენს. ამ წესის მიხედვით სკოლას გააზრებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა, განსაზღვრულია სკოლის საქმიანობის ფარგლებში დამუშავებული მონაცემები, პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები, პერსონალურ მონაცემების დამუშავების წესები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები და სხვა წესები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. სკოლაში უზრუნველყოფილია სხვადასხვა ხასიათის ინფორმაციის დაცვა. შინაგანაწესის მიხედვით სკოლის მდივან-რეფერენტი პასუხისმგებელია გარკვეული ინფორმაციის დაცვაზე და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე. მართალია ამ პერიოდში სკოლაში ვაკანტურია აღნიშნული თანამდებობა, მაგრამ მის მოვალეობას ითავსებს სკოლის საქმეთა მმართველი, რომელმაც ამ შეთავსების შესახებ ზეპირი განცხადებით გადმოგვცა (ანუ დოკუმენტურად არ დასტურდება მოვალეობების შეთავსება), მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია სკოლაში დაცულია.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

7. „ინდიკატორის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად სკოლამ უნდა გააკეთოს ადამიანების/პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასება და შეფასების შედეგები გამოიყენოს აღნიშნული პროცესების გასაუმჯობესებლად. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში, რომელიც სკოლამ წარუდგინა მონიტორინგის ჯგუფს ჩვენი ჯგუფის ვიზიტამდე 2-3 თვით ადრე, გაწერილია, რომ სკოლა განახორციელებს სასკოლო საზოგადოების ფორმების განახლებას და შემდეგ სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას. ამ აქტივობებისთვის სკოლას დაგეგმილი ჰქონდა შესრულების ვადა 19.06.2023. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტი შედგა 03.04.08.2023, სკოლას არ წარმოუდგენია ასეთი კითხვარები და რომც წარმოედგინა, ვერ იქნებოდა ინდიკატორის დამაყმაყოფილებელი, რადგან ინდიკატორი ამ კითხვარების, როგორც შეფასების შემდგომ დამუშავებას და მის გამოყენებას ითვალისწინებს პროცესების გასაუმჯობესებლად.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის

უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებასა და შეფასების შედეგების უსაფრთხოების პროცესების გასაუმჯობესებლად გამოყენებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 18.09.2023-30.06.2024 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია იურისტი, ტექნიკური მენეჯერი, საქმეთა მმართველი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

შპს „სახანძრო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნა

ისა და საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ;

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის’’დოკუმენტი;

ექიმის ხელშეკრულება;

ხელშეკრულება დაცვის სამსახურთან;

ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან;

სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☑ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღმა შენობის ფლობის დამადასტურებლად წარმოადგინა საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომლის მიხედვით (საკადასტრო კოდი: 01.14.04.022.010), საჯარო რეესტრში დარეგისტრირებულია მიწის ნაკვეთი ფართით 5119.00 კვ.მ და მასზე არსებული შენობები: N1, N2, N3, N4, N5 და N7 – საერთო ფართით 2271.58 კვ.მ., შენობა N10 - საერთო ფართით 1086.38 კვ.მ. და ასევე შენობები N6, N8 და N9, თუმცა უფლების დამადასტურებელი

დოკუმენტის გარეშე. აღსანიშნავია, რომ სკოლასთან პარალელურად ფუნქციონირებს ბაღი. (იურიდიული დასახელება ა(ა)იპ აღზრდის ხელოვნება თბილისის თავისუფალი ვალდორფის საბავშვო ბაღი, საიდენტიფიკაციო კოდი N205228733) რომელიც, როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, ფუნქციონირებს N10 შენობის პირველ სართულზე იჯარის წესით გადაცემულ ფართში. <u>საჯარო რეესტრის ამონაწერში მართლაც ფიქსირდება არა მარტო N10, არამედ N6 შენობიდან ფართის იჯარით გადაცემის ფაქტი, თუმცა აღნიშნულ იჯარას ვადა გაუვიდა 2020 წლის 1 თებერვალს,</u> ამდენად, **ვიზიტის პერიოდისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ბაღი იყენებს სკოლის ფართის გარკვეულ ნაწილს, სკოლას ბაღისთვის არ აქვს კანონიერად გადაცემული მისი კუთვნილი ფართი და გაურკვეველია კანონიერად რა ფართი უფიქსირდება სკოლას, რის გამოც ინდიკატორის მოთხოვნა ვერ ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.**

სკოლის ძირითადი N1 შენობა სამსართულიანია სარდაფით. სკოლაში სულ 15 საკლასო ოთახია, მათგან სამი ამავე დროს არის ქიმიის და ბიოლოგიის კლას-ლაბორატორიები, რომლებთანაც მიმდებარედ ლაბორატორიული აღჭურვილობის ოთახებია განთავსებული. ფიზიკის აღჭურვილობა განთავსებულია ნახევარსარდაფის ერთ-ერთ ოთახში და ცდის შემთხვევაში აღჭურვილობა მიაქვთ საკლასო ოთახში. გარდა საკლასო ოთახებისა სკოლის შენობაში არის ინგლისურის, ხელგარჯილობის სამი, მუსიკის ორი, ხატვის, კომპიუტერების, განაყოფის ოთახები. ასევე ბიბლიოთეკა, ევრითმიის დარბაზი, მებაღეობის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ადმინისტრაციის კაბინეტები, თოჯინების თეატრის, სასადილო, ექიმის, ფსიქოლოგის, ევრითმიისა და სამეტყველო თერაპიის ოთახები და სხვა დამხმარე სათავსოები, რომლებიც უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვას. უნდა აღინიშნოს, რომ საკლასო ოთახებში ძირითადად ტარდება ე.წ. ეპოქის გაკვეთილები, რომლებიც ვალდორფის პედაგოგიკის დამახასიათებელი ტიპის გაკვეთილებია და რომელზეც კლასი ესწრება გაერთიანებული 30-34 მოსწავლით. დანარჩენი გაკვეთილები, ტარდება კლასის გაყოფით და გაკვეთილები ტარდება თითქმის ყველა ზემოთ ჩამოთვლილ, კონკრეტული საგნისთვის განკუთვნილ ოთახსა და კაბინეტში.

აღსანიშნავია, რომ როგორც სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, ვალდორფის პედაგოგიკის დამახასიათებელია ორადგილიანი მერხები - მოსწავლეებს შორის მეტი სოციალიზაციის უზრუნველსაყოფად. ორადგილიანი მერხების გამოყენებაზე, სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, მიღებული აქვთ ნებართვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან, თუმცა, მოთხოვნის მიუხედავად, **სკოლამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული ნებართვა.** სკოლის რესურსი ამ მიმართულებით გათვლილია, რომ ორ მოსწავლეზე ერთი მერხი იყოს და კლასებშიც ამ პრინციპითაა განლაგებული. აქედან გამომდინარე სკოლამ წარმოადგინა ფლობის დადასტურება 246 მერხზე. მაშინ, როცა მოსწავლეთა მოთხოვნილი ადგილების რაოდენობაა 460.

ასევე აღსანიშნავია, რომ სკოლამ წარმოადგინა სამხარაულის სახელობის საექსპერტო ბიუროს საინჟინრო შემოწმების დასკვნა N 004939423, რომლის მიხედვით შემოწმდა სკოლის ტერიტორიაზე არსებული შენობებიდან მხოლოდ N1, N2 და N3, N4. დასკვნის მიხედვით ამ შენობების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შეიძლება ფუნქციონირება. დანარჩენ შენობებზე დასკვნა წარმოდგენილი არ იქნა.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს საჯარო რეესტრში იჯარით გადაცემული ფართის რეგისტრაციის თაობაზე ამონაწერის განახლებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 18.09.2023-25.11.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია საქმეთა მმართველი, სკოლის გამგეობა.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანასწორობის პრონციპების გათვალისწინებით ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელშიც მოცემულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს, კერძოდ, მოწყობილია პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა არ არის ორიენტირებული და მორგებული რომელიმე პრივილეგირებული ჯგუფის ინტერესებზე, ის ხელმისაწვდომია ყველასთვის ერთნაირად და თანაბრად. ამასთან ერთად სკოლის სააქტო დარბაზი ხშირად ხდება ცნობილი ადამიანების სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის ადგილი. ამასთან ერთად სკოლა ჩართულია ადგილობრივ სასკოლო ქსელების პროგრამაში, რომლის ფარგლებში ადგილობრივი სკოლები აწყობენ შეჯიბრებებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის სპორტული მიმართულებით და სკოლის სპორტული დარბაზი გამოიყენება ამ შეჯიბრებისთვის. ასევე გამოიყენება სკოლის ბიბლიოთეკა სხვადასხვა მიზნით შეხვედრებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ცალ-ცალკე. ქიმის ლაბორატორიაში არის ამწოვი კარადაც და ონკანი ნიჟარით, არის ბუნებრივი განათება/განიავების საშუალებაც, ლაბორატორიული არჭურვილობისთვის ოთახი ცალკეა გამოყოფილი, საკლასო აქტივობებისთვის - ცალკე. სკოლას აქვს საკმაოდ მდიდარი ლაბორატორიული აღჭურვილობა ყველა მიმართულებით.

   გარდა ამისა სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც ვიზიტის დროს 12 ლეპტოპი იყო; სპორტის დარბაზი, სკოლის ბიბლიოთეკაში არის სასკოლო სახელმძღვანელოები, რომლების კურიკულუმითაა დადგენილი და მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში სახელმძღვანელოები დალაგებულია საგნობრივად, მხატვრული ლიტერატურა - ანბანურად. სულ ბიბლიოთეკაში არის 5189 ეგზემპლარი. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერები, სამკითხველო სივრცე ცალკეა. მკითხველებისთვის შექმნილია მკითხველთა ფორმულარები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლაში არის სხვადასხვა კაბინეტები (ჩამონათვალი იხ. ინდიკატორი 3.5.1.1.)-ში. თითოეული

კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი რესურსით. სკოლაში ასევე არის კურიკულუმებით განსაზღვრული სხვადასხვა სახის რუკები და თვალსაჩინოებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, საკადასტრო კოდი: 1) 35.12.60.029 და 2) 35.12.82.019

ბიბლიოთეკის დებულება;

კომპიუტერებით სარგებლობის წესი;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების ისეთი ინფრასტრუქტურა, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესს. სკოლაში არის 23 კომპიუტერი. აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 12 კომპიუტერი. სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი, სკოლას აქვს პრინტერები და ქსეროქსები. ყველა ეს ინფორმაციული ტექნოლოგია გამოიყენება როგორ სასწავლო პროცესში, ასევე ადმინისტრაციული საქმიანობის პროცესში. სკოლას აქვს ვებგვერდი, რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ასევე აქვს საკუთარი გვერდი სოციალურ ქსელში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. „სკოლის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა და მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორია ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის ასევე მოსწავლეებისთვის, **თუმცა სკოლას შემუშავებული არ აქვს კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების რაიმე წესი.“** აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესის შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 10.01.2024-31.01.2024 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია იურისტი, ტექნ. მენეჯერი, საქმეთა მმართველი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერების და ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტები;
ინტერნეტით მომსახურეობის ხელშეკრულება.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლას შემუშავებული აქვს "საქმისწარმოების წესი", რომლის მიხედვით საქმისწარმოების წესი ეხება შემდეგ დოკუმენტაციას: ა) შემოსულ დოკუმენტაცია; ბ) გასულ დოკუმენტაციას; გ) შიდა დოკუმენტაციას; დ) სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. განსაზღვრულია წესი, რომელი დოკუმენტი რომელ ტიპს განეკუთვნება. სკოლას განსაზღვრული აქვს საშტატო ერთეული მდივან-რეფერენტი, თუმცა ვიზიტის პერიოდისთვის ეს პოზიცია იყო ვაკანტური. რაც შეეხება დოკუმენტების რეგისტრაციას საქმისწარმოების წესის მიხედვით სკოლა უნდა არეგისტრირებდეს დოკუმენტაციას როგორც მატერიალურად, ასევე ელექტრონულად, **მაგრამ სკოლა მატერიალურ სარეგისტრაციო ჟურნალებს არ იყენებს, ხოლო ელექტრონულად სარეგისტრაციოდ გამოყენებულია ექსელი**." აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს საკუთარი საქმისწარმოების წესის მოთხოვნათა დაცვას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 14.09.2023-14.09.2024 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია საქმეთა მმართველი.
2. „სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, მაგალითად საკომუნიკაციოდ - ელექტრონულ ფოსტას, ასევე ვებგვერდს და სოციალურ ქსელს. სკოლა არაა საჯარო, ამიტომ ის ჩართული არ არის განათლებისა და მეცნიერების

სამინისტროს ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (Eflow)-ში. ამის გამო ის ვერ იყენებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სისტემას. სკოლას აქვს ელექტრონული ჟურნალი edupage, რომელსაც, როგორც სკოლამ განმარტა, უახლოეს მომავალში უნდა დაემატოს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მოდული, რომელსაც გამოიყენებს სკოლა. მის ამოქმედებამდე სკოლა ვერ აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის დანერგვას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 25.09.2023-29.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია საქმეთა მმართველი.

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო echool.emis.ge სისტემაში. ამ სისტემაში სკოლის პროფილის დასახელება შეესაბამება სკოლის დასახელებას. პროფილში სრულყოფილადაა შეყვანილი მოთხოვნილი ინფორმაცია სკოლის შესახებ: სკოლის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა აწვდის ინფორმაციასა და უკუკავშირს თავისი საქმიანობის შესახებ განათლების სისტემაში უწყებებს, რომლებიც ერთჯერადად ან სისტემატიურად უფლებამოსილი არიან მიიღონ ასეთი სახის უკუკავშირები (განათლების და მეცნიერების სამინისტრო, რესურსცენტრი, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი და სხვა). გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია ანგარიშგების მრავალგვარი შიდა სისტემა. მაგალითად საერთო კრება ისმენს წლიურ ანგარიშებს გამგეობისგან, საქმეთა მმართველისგან და გაძღოლის კონფერენციისგან. თავის მხრივ გაძღოლის კონფერენცია იბარებს ანგარიშს სასწავლო პროცესის კოორდინატორისგან, ხარისხის მართვის ჯგუფისგან, პედაგოგიური კონფერენციიდან, კათედრებიდან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის საქმისწარმოების წესი;
სკოლის პროფილით ზოგადი განათლების მართვის ელექტრონულ სისტემაში;
ხელშეკრულება edupage-სთან და გვერდი ედუპეიჯზე https://waldorfschule.edupage.org/ ;
სკოლის ვებგვერდი https://www.waldorfschule.edu.ge/;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებგვერდი https://www.waldorfschule.edu.ge/, ასევე გვერდი ედუპეიჯზე - https://waldorfschule.edupage.org/ , ასევე აქვს სოციალურ ქსელში საკუთარი პროფილი: https://www.facebook.com/WaldorfschuleTbilisi/?locale=ka_GE , რომლებიც, როგორც დაკვირვებით დადგინდა, სკოლაში განხორციელებულ მნიშვნელოვან მოვლენების შესახებ იძლევა ინფორმაციას. ყველა ამ საშუალებით შესაძლებელია საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციის დამყარება. გარდა ამისა სკოლა საკომუნიკაციოდ იყენებს ელექტრონულ ფოსტას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში და სკოლის საინფორმაციო დაფაზე სკოლის მიერ გამოქვეყნებული აქტივობის ამსახველი მასალა, ექსპერთთათვის ცნობილი ინფორმაციის ფარგლებში, არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს ვებგვერდის, ელექტრონული ჟურნალის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელის საშუალებით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს ვებგვერდი https://www.waldorfschule.edu.ge/, სადაც ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ვებვერდი განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეების, მისი ისტორიის, მისიის, ვალდორფის პედაგოგიკის, სკოლის სტრუქტურის, სკოლის არაფორმალური განათლების შესახებ, ასევე განთავსებულია სკოლის შინაგანაწესი, ინფორმაცია სკოლაში მიღების შესახებ ხშირად დასმული კითხვები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვებგვერდი https://www.waldorfschule.edu.ge/

გვერდი ედუპეიჯზე - https://waldorfschule.edupage.org/
სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/WaldorfschuleTbilisi/?locale=ka_GE
ელექტრონული ჟურნალი;
სკოლის საინფორმაციო დაფა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წამოადგინა მიმდინარე წლის ბიუჯეტი, არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სკოლა გააგრძელებს სამოქმედო გეგმის შესაბამისი ბიუჯეტის დაგეგმვას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსის მართვის სისტემა, კერძოდ ანგარიშვალდებულების კუთხით სკოლის საქმეთა მმართველი ანგარიშვალდებულია საერთო კრების და გამგეობის წინაშე. ბიუჯეტს ამტკიცებს საერთო კრება, რომელსაც წარუდგენს და შეიმუშავებს გამგეობა, საქმეთა მმართველთან და გაძღოლის კონფერენციასთან კონსულტაციების შემდეგ. ფინანსური სახსრების მართვას ახორციელებს გამგეობა და საქმეთა მმართველი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის 2022/23 წლების ბიუჯეტი;
სკოლის წესდება;
სკოლის შინაგანაწესი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლის შინაგანაწესის მესამე თავი ეთმობა მოსწავლის უფლებებისა და ვალდებულებების აღწერას. მოსწავლის უფლებები აღწერილია განათლების მიღების, უსაფრთხო გარემოს, მათ შორის სამედიცინო მომსახურეობის სარგებლობის, სკოლის მატერიალური რესურსით სარგებლობის, სასკოლო ღონისძიებებში სარგებლობის და სხვა მიმართულებით. თუმცა არის მუხლები, რომელიც აშკარად არღვევს მოსწავლეთა უფლებებს. მაგალითად შინაგანაწესის 33-ე მუხლის 2.5.2. პუნქტის მიხედვით სკოლა უფლებას იტოვებს გარკვეული დარღვევის შემთხვევაში (ტელეფონის მეოთხედ არ ჩაბარების დროს) IV-VIII კლასის მოსწავლე დაითხოვოს სკოლიდან. სკოლის წარმომადგენელმა ინტერვიუს დროს განმარტა, რომ დათხოვნაში გულისხმობენ სკოლიდან გარიცხვას, ეს კი ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე-19 მუხლის, 12[1] პუნქტის დარღვევაა, რომლის მიხედვითაც <u>დაუშვებელია დაწყებით და საბაზო საფეხურზე მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა.</u> გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს დრესკოდი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ აღწერილია, თუ როგორი სამოსით უნდა იყვნენ მოსწავლეები, ასევე ჩაწერილია, რომ <u>**აღნიშნულ მოთხოვნებთან ერთად, სკოლა იტოვებს უფლებას, გადაწყვიტოს, შეესატყვისება თუ არა ჩაცმა ან გარეგნული იერი სკოლის დრესკოდს.**</u> ამ ჩანაწერის მიხედვით, მიუხედვად დადგენილი წესისა, მაინც სკოლა წყვეტს შეესაბამება თუ არა ჩაცმულობა სკოლისთვის მოსაწონ ფორმას. ასეთი ჩანაწერები არ იძლევა მოსწავლის უფლებათა დაცვის

გარანტიებს, რაც ინდიკატორის დარღვევის საფუძველს ქმნის.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს შინაგანაწესით და დრესკოდით მოსწავლის კანონით უზრუნველყოფილი უფლებების გათვალისწინებასა და უფლებების დაცვის გარანტის უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 25.09.2023-25.10.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია იურისტი, გამგეობა, გაძღოლის კონფერენცია.

2. „სკოლის შინაგანაწესის მე-19 მუხლის მიხედვით სკოლაში შემოსული განცხადებების/საჩივრის განხილვაზე და შემდეგ დასკვნების მომზადებაზე უფლებამოსილია სკოლის იურისტი. ასევე შინაგანაწესის 38-ე მუხლითაა განსაზღვრული სხვა სტრუქტურული ერთეული - დისციპლინური საბჭო - რომელიც ასევე უფლებამოსილია საჩივრების/განცხადებების განხილვაზე. **ამ ჩანაწერებით გაურკვეველია ვინ როდის განიხილავს საჩივარს**. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა სკოლას სთხოვა გადმოეცა გასაჩივრების დეტალური პროცედურები და მასალა. პასუხად სკოლამ გადმოაგზავნა *ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის საჩივრების განხილვის პოლიტიკა,* რომელიც მხოლოდ რამდენიმე, საჩივართან დაკავშირებული კითხვა-პასუხს მოიცავს (მსგავსად ე.წ. „ხშირად დასმული კითხვებისა“), ამასთან აღნიშნულ დოკუმენტს დამტკიცების რეკვიზიტები არ აქვს (თარიღი, აქტის ნომერი) და გაურკვეველია დამტკიცებული და ოფიციალური დოკუმენტია თუ მხოლოდ პროექტი, ამასთან დოკუმენტის მიხედვით სკოლა თვლის, რომ ის **უფლებამოსილია** განიხილოს საჩივრები და არა ვალდებული. აღსანიშნავია, რომ საავტორიზაციო ვიზიტამდე განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შემდეგ სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ჰქონდა საჩივრების განახლებული სისტემის შემუშავება 05.07.2023 - მდე და როგორც ჩანს ეს დოკუმენტი შესაბამისობის გეგმით აღებული ვალდებულების ფარგლებში აქვს შემუშავებული.

ასევე აღნიშვნის ღირსია შინაგანაწესით განსაზღვრული მოსწავლის დისციპლინური წარმოების წესი. შინაგანაწესის 34-ე მუხლში მოცემულია **მოსწავლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები**, ხოლო 35-ე მუხლში **მოსწავლის დისციპლინური სახდელის სახეები** მაგრამ მეტი გამჭვირვალობისთვის არ არის განსაზღვრული კონკრეტული გადაცდომისთვის პასუხისმგებლობის კონკრეტული სახე. ამასთან ბუნდოვანია ისეთი გადაცდომის სახე, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების გადახედვას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი დისციპლინური სახდელი საქართველოს კანონმდებლობით არაა გათვალისწინებული (როგორც თავად ნორმა აცხადებს) და არც სკოლასა და მშობელს შორის დადებულ ხელშეკრულებაში არის გათვალისწინებული ხელშეკრულების გადახედვის ასეთი საფუძველი. ასეთი ჩანაწერები ინდიკატორის დარღვევის საფუძველია.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციების დაკონკრეტებასა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 25.09.2023-25.10.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია იურისტი, გამგეობა, გაძღოლის კონფერენცია, კომუნიკაციის მენეჯერი.

3. სკოლის შინაგანაწესის მიხედვით (მუხლი 8) სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმოადგენელთან საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებას აფორმებს სკოლის სტრუქტურული ერთეული - გამგეობა, რომელიც 3 წლის ვადით არჩეული 7 წევრისგან შედგება და მათგან 4 წევრი არამასწავლებელი წევრია (დიდი ალბათობით მშობელი). გარდა ამისა, სურვილის შემთხვევაში მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის შეიძლება გაფორმდეს დამატებითი მომსახურეობის ხელშეკრულებაც, მაგალითად გახანგრძლივებული ჯგუფის მომსახურეობის ხელშეკრულება. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა ორივე ტიპის ხელშეკრულებები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფლიებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

წესდება;

დრესკოდი

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლის შინაგანაწესსი ერთი თავი (IV) ეთმობა სკოლაში პირველ ჩარიცხვას და კლასიდან კლასში გადაყვანას, მაგრამ რეალურად მხოლოდ პირველ კლასში ჩარიცხვის ზოგადი რეგულაციებია, კონკრეტულად კი, სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს შემუშავებული პირველ კლასში მიღების წესი. საავტორიზაციოდ გადმოგზავნილ

დოკუმენტებთან ერთად გადმოგზავნილ შინაგანაწესში ეწერა, რომ პირველ კლასში მიიღებოდნენ მაისის ბოლომდე დაბადებული ბავშვები, მაგრამ ვიზიტის დროს სკოლამ გადმოაგზავნა შინაგანაწესი, რომელშიც ეს წესი ამოღებულია. რაც შეეხება პირველ კლასში მიღების წესს, რომელიც სკოლის მიერაა შემუშავებული ისეთი რეგულაციებია, რომელიც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. კერძოდ სკოლა აცხადებს, რომ ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით მზრუნველობას - განაცხადის ფორმას თანდართული უნდა ჰქონდეს განათლების სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება. აქ სკოლა გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და გაურკვეველია, როგორ უნდა წარადგინოს მშობელმა განაცხადთან ერთად სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური გუნდის შეფასება, მაშინ როცა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის №16/ნ ბრძანებით დამტკიცებული დანართის ("ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“) მე-3 თავის შესაბამისად, იმ შემთხვევაში თუ არის ვარაუდი, რომ პირი საჭიროებს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას, პირველ კლასში მისაღებ განაცხადში უთითებს ასეთი საჭიროების შესახებ, ავსებს მულტიდისციპლინური გუნდისთვის მიმართვის ფორმას შეფასების თხოვნით და შემდეგ სკოლა ამ ფორმას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად უგზავნის სამინისტროს მულტიდისციპლინურ გუნდს, რის შემდეგაც ხდება პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადგენა. ამდენად ამ პროცედურებს მშობელი დამოუკიდებლად ვერ შეასრულებს, შესაბამისად არ ექნება შეფასება მულტიდისციპლინური გუნდისგან და ეს გახდება (არაკანონიერად) სკოლის მხრიდან მიღებაზე უარის თქმის საფუძველი. სკოლას ამ წესის ვალდებულება ჩაწერილი ჰქონდა ზემოთ ნახსენებ შესაბამისობის გეგმაში და შესრულების ვადად გათვალისწინებული აქვს 12.12.2023. გამომდინარე იქიდან, რომ შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადა ჯერ არ არის გასული დასკვნის პროექტის შედგენის მომენტისთვის, უნდა ვივარაუდოდ, რომ სკოლა შეასრულებს შესაბამისობის გეგმაში აღწერილ ამ აქტივობას. რაც შეეხება

მოსწავლის სტატუსის მოპოვება/შეჩერება/შეწყვეტას შინაგანაწესში მხოლოდ ერთი ჩანაწერია საქმეთამმართველის მოვალეობებს შორის, რომელიც გაძღოლის კონფერენციასთან შეთანხმებით ახორციელებს მოსწავლის სტატუსის მოპოვება/შეჩერება/შეწყვეტას, მაგრამ აღარ არის სხვა წესით დაკონკრეტებული როგორ? რა პირობებში აკეთებს ამას. იგივე ეხება მოსწავლის მობილობასთან დაკავშირებულ რეგულაციასაც. სკოლის შინაგანაწესით მოსწავლის მობილობასთან დაკავშირებულ პროცედურებს აწარმოებს მდივან-რეფერანტი, მაგრამ მეტი დაკონკრეტება აღარ წერია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სკოლაში მობილობის მსურველთათვის შემუშავებულია ვრცელი ანკეტა-კითხვარი, რომლიც უნდა შეავსოს მობილობის კანდიდატმა, ამასთან ამ ანკეტის შევსებისას მშობელს ეცნობება, რომ უარის თქმის შემთხვევაში სკოლა არ არის ვალდებული აუხსნას უარის მიზეზი. აღნიშნულით დარღვეულია ზოგადი განათლების კანონის მე-13 მუხლის, მე-3 პუნქტი, რომლის თანახმადაც <u>დაუშვებელია სკოლაში მიღებისას რაიმე სახის დისკრიმინაცია. ეს ნორმა არ გამორიცხავს შესაძლებლობას შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო, პროფილურ სახელოვნებო და სასპორტო მომზადებას, ასევე სხვა სტატუსის სკოლებში. შესარჩევი კონკურსის ჩატარებისას აუცილებელია პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინება.“</u> აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს მოსწავლის მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმების შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 25.09.2023-25.10.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია იურისტი, საქმეთა მმართველი, გაძღოლის კონფერენცია.

2. „როგორც ზემოთ აღიწერა, სკოლას არ აქვს დაკონკრეტებული მოსწავლის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები. ამასთან, რადგან სკოლა მიმდინარე

სასწავლო წელს მოსწავლის პირველ კლასში მიღებისას ხელმძღვანელობს წესით, რომელიც ჯერ შეთანხმებული არ აქვს სამინისტროსთან, ის კი, როგორც ზემოთ აღიწერა, არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, ამიტომ ინდიკატორის მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდება.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს პირველ კლასში ჩარიცხვის წესის შესაბამისობაში მოყვანას მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 25.09.2023-25.10.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია სასწ. პროცესის კოორდინატორი, იურისტი, გაძღოლის კონფერენცია, ფსიქოლოგი.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო გეგმის მიხედვით სკოლაში მრავალფეროვანი და მრავალმხრივი მომსახურეობის სახეებია. ნაწილი მათგანი სავალდებულოა კონკრეტული კლასის ყველა მოსწავლესთვის

   1). ევრითმია - მოძრაობითი ხელოვნების ახალი დარგი - ისწავლება I-XII კლასებში - კლასების მიხედვით დატვირთვა ცვალებადია (იხ. საათობრივი ბადე);

   2). ცეკვა - მსოფლიოს ხალხთა და ქართული ეროვნული ცეკვები - ისწავლება V-VIII კლასებში -(იხ. საათობრივი ბადე);

   3). სპექტაკლები - სავალდებულო პედაგოგიურ-აღმზრდელობით აქტივობას წარმოადგენს კლასის მიერ დადგმული თეატრალური წარმოდგენები მშობლიურ და უცხო ენებზე: - VI კლასში - უცხოენოვანი სპექტაკლი (ინგლისური/გერმანული)

   4). ხელგარჯილობა - ქსოვა, ქარგვა, კერვა - ისწავლება I - VIII კლასებში

   5). ხელოსნობა - ხეზე მუშაობა - ისწავლება V - VIII კლასებში

   6). მებაღეობა - მიწაზე მუშაობა, მცენარეების მოვლა - ისწავლება V - VII კლასებში

   ნაწილი კი არჩევითი სახისაა.

1). რუსული ენა - ისწავლება როგორც არჩევითი/ფაკულტატური საგანი მეხუთე კლასიდან მეცხრე კლასის ჩათვლით: დამატებით არჩევით აღმზრდელობით მომსახურებას წარმოადგენს დაბალი კლასების ორკესტრი, რომლის მიზანსაც მოსწავლეთა მუსიკალური უნარების შემდგომ განვითარებასთან ერთად, მათ სოციალურ უნარებზე მუშაობაც წარმოადგენს. გარდა ამისა, სკოლა I-III კლასების მოსწავლეებს, მშობლის სურვილის გათვალისწინებით, გაკვეთილების შემდეგ სთავაზობს ფასიან დამატებით აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მომსახურეობას ე.წ. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სახით. გახანგრძლივებულ ჯგუფში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან კვებით, ასრულებენ საშინაო დავალებებს, მონაწილეობენ ხელოვნებით და სპორტულ-გასართობ ღონისძიებებში. აღნიშნული მომსახურეობები როგორც ზემოთ აღინიშნა გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასი, რომელიც საჯაროდაა განთავსებული სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ამ მოსმახურეობიდან ნაწილის შესახებ სკოლის ვებგვერდზეც არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია, თუმცა არა ყველა მათგანის შესახებ. **სკოლას ეძლევა რჩევა ვებგვერდზე განათავსოს ყველა მომსახურეობის შესახებ ინფორმაცია.**

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ან მისი თანამშრომლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებით (მშობლებთან შეხვედრები, საინფორმაციო დაფა და სხვა) არის სანდო და არადისკრიმინაციული. პერიოდულად ხდება ინფორმაციების განახლება მათში ცვლელებების შესაბამისად. იმის გამო, რომ მშობელი აქტიურად არის სკოლის მმართველობაში ჩართული, განახლების ინფორმაცია გამჭვირვალეცაა და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი

სასკოლო სასწავლო გეგმა

ვეზგვერდი;

წრის შექმნის ბრძანება;

მომსახურეობის ხელშეკრულება მშობელთან

ხელშეკრულება გახანგრძლივებულთან;

ორკესტრის დებულება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შინაგანაწესის მე-16 მუხლით განსაზღვრულია სკოლის ფსიქოლოგის ფუნქციები, რომელთა შორისაა მოსწავლეთა <u>თანატოლთა შორის დამკვიდრებისა და სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობა</u>. სკოლამ რაიმე დოკუმენტი ამ ფაქტის უფრო კონკრეტულად ასაღწერად და ადაპტაციის პროცესის კონკრეტიზაციაზე ვერ წარმოადგინა, გარდა „პირველკლასელთა მიღების წესისა“, რომელიც აღწერს პირველკლასელთა მიღების პროცედურებს, მათ შორის სამუშაო შეხვედრებს მშობლებთან ერთად და მოსწავლეზე დაკვირვების პროცედურებს. ფსიქოლოგმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ის ყოველთვის იღწვის მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ადაპტაციის ხელშესაწყობად, რაც სკოლის წარმომადგენლებმაც დაადასტურეს. სკოლას მიეცა რჩევა რეალური პროცესების ამსახველი დოკუმენტის შექმნაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ფიქოლოგის მიერ მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების და პირველკლასელთა მიღების წესში აღწერილი პროცედურების გარდა, სკოლაში შემოსვლის მომენტისთვის პირველკლასელთა ადაპტაციაში ჩართულია არიან მოსწავლეებიც. გარდა ამისა მომავალი მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ავსებს ზემოთ ნახსენებ ანკეტას, რომლის საფუძველზე სკოლა ერთ მხრივ დისკრიმინაციულად არჩევს მოსწავლეებს (რის გამოც დახარვეზდა შესაბამისი 4.2.1.2. ინდიკატორი), მეორე მხრივ ამ ინფორმაციას იყენებს მოსწავლეთა სასწავლო პროცესში უკეთესი ადაპტაციის მიზნებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის ყველა კლასს ჰყავს კლასის მასწავლებელი ან მზრუნველი, რომლებიც ასრულებენ დამრიგებლის ფუნქციებს. მათ მოვალეობაში შედის იზრუნოს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ განვითარებისთვის. წარმოადგენილი იქნა მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებები, რომელთა მიზანი სწორედ მოსწავლის აკადემიური უნარების განვითარება/გაუმჯობესებაა. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილია გამოცდის ტიპები (სემესტრული, ექსტერნი, საშემოდგომო, წლიური) სემესტრული გამოცდის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია აიმაღლოს ქულა, საშემოდგომო გამოცდის წინ სკოლას განსაზღვრული აქვს წინასაგამოცდო კონსულტაციების ჩატარება მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა, მასწავლებლებ მოვალეობაში განსაზღვრული აქვს, რომ ჩაატაროს დამატებითი გაკვეთილები საპატიო მიზნით გამცდენ მოსწავლეებთან.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მხრიდან ადმინისტრაციულ მხარდამჭერ ღონისძიებებად შეიძლება ჩაითვალოს სკოლის ფსიქოლოგის ზრუნვა მოსწავლეებზე, ასევე სკოლის ექიმის ზრუნვა მოსწავლეთა ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ზრუნვაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლის განხორციელებული პროექტი „ამოუხსნელი“, ელექტრული ინჟინერიის შესახებ. პროექტის ფარგლებში სკოლაში შეიქმნა კლუბი ელექტრული ინჟინერიით დაინტერესებული პირებისთვის, კერძოდ კლუბში შეიძლება ჩართული იყვნენ 8-12 კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები. პროექტის მიხედვით მოსწავლე სკოლისგან იდეის განხორციელების თანხმობას და მატერიალურ რესურსს ითხოვდა. აღნიშნული კლუბი შეიქმნა ადმინისტრაციული მხარდაჭერით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. შინაგანაწესის მიხედვით სკოლის მართვის ერთ-ერთი პრინციპია (მუხლი 4) სკოლამ უზრუნველყოს მასწავლებელთა, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკითხის შესაბამისად. ამასთანავე, სკოლის მმართველი სტრუქტურული ერთეული ხომ საერთო კრება და გამგეობაა, რომლებშიც მოსწავლის

მშობელი/კანონიერი წარმომადგენლები დიდი დოზითაა ჩართულები და მათი უკუკავშირის შესახებ გადაწყვეტილების მიღებებაში მონაწილეობა ან საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება აქვთ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

კლუბის შექმნის შესახებ მოსწავლის საპროექტო განაცხადი;

სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული განვითარების სერვისებს, რომელიც მათ დამატებითი სავალდებულო მომსახურეობის სახით მიეწოდება I-XII კლასის ჩათვლით. სკოლის დამატებითი მომსახურეობები მოიცავს სხვადასხვა ხელობებს და სკოლას აქვს შესაბამისი სახელოსნოები აღჭურვილი სათანადო

ინსტრუმენტებითა და ხელსაწყო-დანადგარებით. ხელობები, რომლესაც ეცნობიან მოსწავლეები შემდეგია: ქსოვა, ქარგვა, ძერწვა, სპილენძის თეგვა, კარტონაჟი, აკინძვა, თეატრალური ხელოვნება, მებაღეობა, ხელგარჯილობა და სხვა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. „სკოლამ ვერ წარმოადგინა რაიმე დოკუმენტი რომლითაც დაადასტურებდა, რომ ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებისთვის მიეწოდოს ინფორმაცია, თუ რა შესაძლებლობების და განვითარების გზა აქვთ მოსწავლეებს, თუმცა სკოლის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მომავალში გეგმავენ პროფესიული პროგრამების დამატებას და მის განხორციელებაზე ავტორიზაციის მიღებას.“ აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს მოსწავლეებისა/კანონიერ წარმომადგენლებისთვის ზოგადი განათლების დასრულების შემდეგ კარიერული განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მექანიზმის შემუშავებასა და განხორციელებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 18.03.2024 -01.05.2024 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია იურისტი, გაძღოლის კონფერენცია.
3. ამავე კრიტერიუმის პირველ ინდიკატორში აღწერილი დამატებითი სავალდებულო მომსახურების გაწევის პროცესში სკოლა იღებს ინფორმაციას გაწეული მომსახურეობის შესახებ მასწავლებლის ან/და ხარისხის ჯგუფის მონიტორინგის საფუძველზე, რასაც ითვალისწინებს მომავალი დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმის დამატებითი სავალდებულო მომსახურეობების ჩამონათვალი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლას შემუშავებული აქვს „ინკლუზიური განათლების სასწავლო გეგმა“ რომელიც განსაზღვრავს თუ როგორი მოსწავლე შეიძლება იყოს სსსმ სტატუსის მატარებელი და რომლის მიხედვითაც სსსმ სტატუსის მატარებელი შეიძლება იყოს მოსწავლე რომელსაც აქვს 1) ინტელექტუალური დარღვევა; 2) მეტყველების დარღვევა; 3) ქცევითი და ემოციური დარღვევა. აღნიშნული არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის 41-ე მუხლით განსაზღვრულ დარღვევების მქონე მოსწავლეებს, რომლითაც უფრო სხვა დარღვევების მქონე პირებიც შეიძლება ჩაითვალოს სსსმ მოსწავლეების სტატუსის მქონედ. გარდა ამისა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არ ითვალისწინებს ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N 16/ნ ბრძანებით დადგენილი წესებსა და პროცედურებს.

გარდა ამისა, განმარტებით ვიზიტის პერიოდისთვის ირიცხებოდა 9 სსსმ მოსწავლე (ინკლუზიური განათლების გეგმაში ეწერა 7). სკოლაში მოქმედებს მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობ სკოლის ფსიქოლოგი. ვიზიტის პერიოდში გასაუბრება ჩატარდა სწორედ ფსიქოლოგთან, რომელსაც ეთხოვა გადმოეგზავნა ერთი ნებისმიერი სსსმ მოსწავლის პირადი საქმე, რომელშიც მოცემული იქნებოდა ყველა მასალა, მისი შეფასებიდან განხორციელებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით დამთავრებული (იხ. სკოლის მიერ ვიზიტის დროს გადმოგზავნილი მასალები).

გადმოგზავნილი მასალით ირკვევა, რომ **მოსწავლე შეფასებულია და სტატუსი სსსმ მოსწავლე მიცემული აქვს არა სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, არამედ სკოლის მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ**. ამასთან ინდივიდუალური გეგმა შედგენილია არა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2016 წლის 18 მაისს დამტკიცებული 40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნულ სასწავლო გეგმის შესაბამისად (**არ ჩანს საფეხურის მისაღწევი შედეგები, სამიზნე ცნებები** თუნდაც გამარტივებული ან/და მოდიფიცირებული) სკოლა არ ახორციელებს ინკლუზიური განათლების მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგების სამინისტროში გადაგზავნას. „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N 16/ნ ბრძანებით დადგენილი წესები და პროცედურების შესაბამისად, თუმცა ფსიქოლოგთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის მულტიდისციპლინური გუნდი, ზემოთნახსენები ბრძანებით განსაზღვრული წესის მსგავსად ახორციელებენ მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველად მართვის პროცედურებს, მაგრამ შემცირებულ (სამკვირიან) ვადებში." აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს ინკლუზიური განათლების სასწავლო გეგმის შესაბამისობაში მოყვანას „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვალის ბრძანება №16/ნ-ის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2016 წლის 18 მაისს დამტკიცებული 40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 11.09.2023-22.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია მულტიდისციპლინარული ჯგუფი.

2. სკოლაში შექმნილია მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან მულტიდისციპლინური ჯგუფის ხელმძღანელი სკოლის ფსიქოლოგი და ექიმი. ამ ჯგუფის შეხვედრაზე იწვევენ მოსწავლის მშობელს და მასწავლებლებს. რომლებიც ჩართული არიან ინდგეგმის შემუშავებაში (საჭიროების შემთხვევაში), ჯგუფის მუშაობაში შეიძლება მოწვეული იყოს სხვა დაინტერესებული პირები, მაგალითად სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენელი.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ინკლუზიური განათლების სასწავლო გეგმა;

სკოლის მულტიდისციპლინური ჯგუფის ფუნქციები;

ისგ სხვადასხვა საგანში.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლაში, დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების გაწევის მიზნით, ფუნქციონირებს გახანგრძლივებული სწავლების ჯგუფი, გახანგრძლივებულის ჯგუფის მოსწავლეთა მშობლებთან სკოლას გაფორმებული აქვს მომსახურების ხელშეკრულება. სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრავს დამატებითი არასავალდებული ხასიათის მომსახურებას - სხვადასხვა წრეს (რუსული ენა, ორკესტრი/გუნდი). გარდა ამისა სკოლას იჯარით გაცემული აქვს სკოლის შენობის გარკვეული ნაწილი ბუფეტის მოწყობის მიზნით. ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა მოსწავლეთათვის უსაფრთხო კვების შეთავაზების უზრუნველყოფის მიზნით თუ იცავს მოიჯარე კვების უსაფრთხოებას. გაირკვა, რომ ბუფეტის მეპატრონეს ამჟამად არ აქვს, თუმცა აპირებს უახლოეს მომავალში აიღოს ხარისხის უზრუნველყოფის ე.წ. "ჰასპის" სერთიფიკატი. **უსაფრთხო კვების უზრუნველყოფის მიზნით ინდიკატორის მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდება.“** აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება გეგმავს ბუფეტისთვის უსაფრთხო კვების ე.წ. HACCP ის სისტემის უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებად დაფიქსირებულია - 7.09.2023-15.10.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად განსაზღვრულია საქმეთა მმართველი.

2. დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, სკოლის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა წრის და მომსახურების ფუნქციონირება ნებაყოფლობით პრინციპზეა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დამატებით მომსახურებები, რომლებიც არ საჭიროებენ რაიმე სახის უფლების მოპოვებას ფუნქციონირებისთვის და შესაბამისად დამატებით არაა უზრუნველყოფილი უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ნორმების დაცვა, თუმცა სასკოლო რეგულაციებით დაცულია მოსწავლეთა და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოება და უფლებები, ასეთ შემთხვევაში მოქმედებს სკოლის ტერიტორიაზე მოქმედი უსაფრთხოების ზოგადი წესები, რომელიც რეგულირდება შინაგანაწესით ან/და "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობები", რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ხელშეკრულება გახანგრძლივებული ჯგუფის მოსწავლის მშობელთან;
სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☑ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1.კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2.კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3.კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4.კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გამოყოფილია შემუშავების საფეხურები და პასუხისმგებელი პირები, მეთოდოლოგიაშივე საუბარია ჩართულ მხარეებზე, როგორებიცაა: პედაგოგიური კონფერენცია, გაძღოლის კონფერენცია, კავშირის გამგეობა, ხარისხის მართვის ჯგუფი, მშობელთა სათათბირო. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და პროცედურების შესახებ საუბარია მეთოდოლოგიაში, რაც ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური პრინციპები, ხაზს უსვამს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებლობას. მეთოდოლოგიაშივე საუბარია, რომ სკოლა მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებას იწყებს წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის მიერ ნაჩვენებ აქტივობებში, მასალაში გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპების გატარება სკოლას საშუალებას ეძალევს სასკოლო საზოგადოების ინეტერსების შესაბამისად წარმართოს სასწავლო და აღმზრდებითი პროცესი. კლასის მასწავლებელი, რომელიც დაწყებით კლასებში ერთი ჰყავთ მოცემულ სკოლაში(I-VI კლასები) აქტიურ კომუნიაკაციას ამყარებს მშობლებთან და ითვალისწინებს მათ ინტერესებს. მოსწავლეთა მშობლები არიან სათათბიროს წევრები და შესაბამისად მათი ინტერესები აისახება კურიკულუმში, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ღონისძიებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში, ამასთან, კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია გაზიარებული და შეთანხმებულია. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს თავდაპირველად იკრიბება პედაგოგიური კონფერენცია და ახდენს გავლილი წლის საქმიანობის უკუკავშირს - გამოცდილების განხილვასა და გაანალიზებას; კურიკულუმის შემუშავების გზაზე შემდეგი ნაბიჯია გაძღოლის კონფერენციისა და კავშირის გამგეობის ერთობლივი შეხვედრა, სადაც პადაგოგთა მიერ გაკეთებულ უკუკავშირს ემატება მშობელთა მოსაზრებებიც;
ამის შემდეგ ანალიზის შედეგები გადაეცემა სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფს და მის მიერ ხდება შემდეგი წლის კურიკულუმის შემუშავება; ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ კურიკულუმში ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება; სასკოლო საზოგადოება ხდება კურიკულუმის შემუშავების პროცესის მონაწილე და შესაბამისად ბოლომდე იზიარებს მას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში(სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი მაგ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი)და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან გასაურებით დგინდება, რომ გაზიარების პროცესს, სკოლა 2 მიმართულებით აღიქვამს, ერთი რომ თავად კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა იწვევს ჩართულ მხარეებში პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის განცდას და მეორე ხელმისაწვდომობას, სკოლა მოცემულს უზრუნველყოფს სხვადასხვა საინფორმაციო არხის საშუალებით. როგორიცაა სკოლის ვებ.გვერდი, FACEBOOK გვერდი, ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კურიკულუმები(დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური) დანართი 1 სსგ 2022-23 სასწავლო წელი
- სკოლის ვებ. გვერდი და FACEBOOK გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიმდინარე წლის კურიკულუმში ასახულია ვალდორფის პედაგოგიკის ზოგადპედაგოგიკური და მეთოდური პრინციპები და იდეები, მათ შორის პრიორიტეტულია მოსწავლეზე ორიენტირების პრინციპი - გულისხმობს დიდაქტიკისა და მეთოდიკის მუდმივ შესაბამისობას მოსწავლის ასაკობრივ ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებთან და განვითარების პერსპექტივებთან. სკოლის მიერ ე.წ. ეპოქის გაკვეთილებზე შერჩეული თემატიკა, საკითხთა კლასტერი, მუშაობის პრონციპები ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებას. სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორინეტირებისთვის სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული აქვთ დამატებიტი საგანმანათლებლო მომსახურება, ვალდორფის სკოლის დაწყებით საფეხურზე დამატებით არჩევით აღმზრდელობით მომსახურებას წარმოადგენს დაბალი კლასების ორკესტრი, რომლის მიზანსაც

მოსწავლეთა მუსიკალური უნარების შემდგომ განვითარებასთან ერთად, მათ სოციალურ უნარებზე მუშაობაც წარმოადგენს. გარდა ამისა, სკოლა I-III კლასების მოსწავლეებს, მშობლის სურვილის გათვალისწინებით, გაკვეთილების შემდეგ სთავაზობს ფასიან დამატებით აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მომსახურეობას ე.წ. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის სახით. გახანგრძლივებულ ჯგუფში მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან კვებით, ასრულებენ საშინაო დავალებებს, მონაწილეობენ ხელოვნებით და სპორტულ-გასართობ ღონისძიებებში. ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგნობრივი კურიკულუმი მე-2 კლასისთვის შემუშავებულია მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებას, სხვა კლასებისთვის დაწყებითის ქვესაფეხურსა და მე-5-6 კლასებში არ ჩანს, როგორ არის დაგეგმილი ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კურიკულუმი ისე, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული იყოს.

სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. მაგალითად პირველ და მეორე უცხოურ ენაში, რომელშიც მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. უცხოური ენის სწავლების მიზნები და მიმართულებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. სკოლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაწყებითი საფეხურისთვის შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები მორგებული იყო მოსწავლეზე, შერჩეული იყო სასწავლო თემები, რომელიც შეესაბამება სკოლის სპორტულ ბაზას, უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას და შესაბამისად მათი განვითარების გზას. თუმცა აქაც წარმოდგენილი კურიკულუმი არ შეესაბამება მესამე თაობის ე,ს.გ. სტანდატებს, ასევე ბუნებისმეტყველების, ტექნოლოგიების, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და მათემატიკის კურიკულუმის განხილვის შედეგად დადგინდა, რომ - თემები არასწორადაა გაწერილი. არაა გათვალისწინინებული კლასის საჭიროებებზე მორგებული აქტივობები და რესურსები რომელიც გამოყენებული იქნება კონკრეტული საკითხის თუ თემის დამუშავებისას.

სკოლას აქვს მზაობა შექმნას ყველა კლასისთვის დაწყებით საფეხურზე კურიკულუმები, რომლებიც აჩვენებს მოსწავლის განვითარების გზას. ამ შემთხვევაში ინდიკატორის მოთხოვნები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა საგნის კურიკულუმები, რომლშიც თემები არაა სრულად და მართებულად გაწერილი (მათემატიკა 1-5). შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი დარჩა ხარვეზად.

2. სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. პირველ და მეორე უცხოურ ენის, ტექნოლოგიების, სპორტის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, მათემატიკისა და ესთეტიკურ აღზრდის კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. სწავლების მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში არ ჩანდა რამდენად ეფუძნებოდა დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტები გრძელვადიან მიზნებს; როგორ მიდის სკოლა სამიზნე ნიშნულამდე, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ამასთან სკოლის მიერ კურიკულუმებში აღწერილი მისაღწევი შედეგი არ მოდის თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან. ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლამ მხოლოდ მეორე კლასისთვის წარმოადგინა კურიკულუმი მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით შემუშავებული, თემების, ქვეთემების, სამიზნე ცნებების, რესურსების განსაზღვრით. რაც შეეხება მე-5, მე-6 კლასებს, მოცემული კურიკულუმები არ არის მესამე თაობის ესგ-ს მიხედვით შემუშავებული.

გასაუბრებისას ყველა კათედრის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ არ იცნობს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. და ფიქრობენ რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. სკოლას აქვს მზაობა დაწყებით საფეხურზე შეუძლია ყველა კლასისთვის შეიმუშაოს კურიკულუმი, გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ინდიკატორი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმები არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა საგნის კურიკულუმები, რომლშიც თემები არაა სრულად და მართებულად გაწერილი (მათემატიკა 1-5). შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი დარჩა ხარვეზად.

3. სკოლა სასწავლო პროცესს ხედავს, როგორც მოსწავლეზე ფოკუსირებული და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ მიმართულ ღონისძიებათა ციკლს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები , პოტენციალი, საჭიროებები.მასწავლბლები ინტერვიუს დროს ადასრურებენ სპექტაკლებისა თუ სხვადასხვა ჯგუფური სამუშაოს ორგანიზებისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სადაც გაწერილია რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ პრობლემის იდენტიფიცირებიდან მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭებამდე, სტატუსის განსაზღვრიდან ინდივიდუალური გეგმის შექმნისათვის, გეგმის განხორციელების პროცესში მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებით დამთავრებული. თუმცა „დიფერენცირებული სწავლების მიდგომა არ გულისხმობს იმას, რომ თითოეულ მოსწავლეს მიეწოდებოდეს განსხვავებული თემა ან საკითხი. მისი მთავარი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ საერთო მიზნის მიღწევის პროცესში კონკრეტული თემა იძლეოდეს მოქნილობას მისი კომპლექსურობის, გამოყენებული სტრატეგიებისა და რესურსების ცვლილების თვალსაზრისით, კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით. (ბაგრატიონი, ტყეშელაშვილი და ქურციკიძე 2021); შესაბამისად რადგან დაწყებითი საფეხურზე მისაღწევი შედეგი არ მოდის შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ინდიკატორი დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

4. სსგ-თ სკოლა განსაზღვრავს შეფასების 2 ტიპს დაწყებით საფეხურზე, სკოლა განმსაზღვრელ შეფასებას აწარმოებს მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან ხოლო განმავითარებელ შეფასებას პირველი კლასიდან. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას არ გამოყოფენ სასწავლო პროცესიდან , არამედ პირიქით სასწავლო პროცესის ნაწილად აღიქვამენ მას. განმავითარებელი შეფასების ფორმად მასწავლებლები ასახელებენ ეპოქის რვეულებს, რომელსაც აწარმოებს ყველა მოსწავლე, აგრეთვე სემესტრულ და წლიურ დახასიათებებს, დახიასიათება არის დეტალური და ყველა ძლიერი და სუსტი მხარის დეკლარირებით, საჭირო რჩევების მითითებოთ. მასწავლებელთა წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები და ინტერვიუს დროს აღწერილი პროცესის მიხედვით, სკოლას ზოგადად აქვს შესაძლებლობა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება აწარმოოს იმგვარად, რომ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს ამისათვის მასწავლებლებს აქვთ მზაობა, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და შექმნან განმსაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემეართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

5. **ინტერვიუს დროს,** მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა, მათი მხრიდან მუდმივად მიმდინარეობს თითოეულ აქტივობაზე დაკვირვება და სწორედ ამგვარად სხვადასხვა სახით შეგროვილი მონაცემების საფუძველზე დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების გათვალისწინება, იქნება ეს გაკვეთილის დაგეგმვა, აქტივობის, პროექტის თუ სხვა მიმდინარე პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლა გასაზღვრავს რომ ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ხარისხის მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს არსებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. აგრეთვე დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს სპექტაკლებზე, გაკვეთლებზე, როგორც სკოლაში, ასევე გასვლით გაკვეთილებზე და იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას. მაგრამ მათემატიკის ექსპერტი აღნიშნავს რომ სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა

მივაქციოთ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი უნდა მოხდეს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი ; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. შემდგომ წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება უკვე გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. რაც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იკითხება .

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- I-IV კლასის პროგრამები
- V-VI კლასის პროგრამები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კურიკულუმები(დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური) დანართი 1 სსგ 2022-23 სასწავლო წელი
- სკოლის ვებ. გვერდი და FACEBOOK გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ჩანაწერები
- სსსმ მოსწავლეთა სერვისების მიწოდების რეგულაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში,(FACEBOOK, ვებ. გვედრზე განთავსებული მასალა) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მოსწავლეები აქტიურად არიან შემოქმედებით პროცესში ჩართულები,მასწავლებლები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, რომლებშიც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას და ამუშავებს მას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული ეპოქალური სწავლების პარადიგმა ადასტურებს, რომ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივება ხდება საინტერესო, მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებით. ყველა კატედრაზე დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი უკავშირდება ფიქრის, ჰიპოთეზირების, ძიების, მსჯელობების, აღმოჩენების/ მიგნებებისა და შექმნის პროცესებს. მასწავლებლები გეგმავენ და ახორციელებენ აქტივობების, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; გადმოსცემს და ხსნის იდეებს თავისი სიტყვებით იქნება ეს წერილობით თუ დისკუსიების სახით. ამის დასადასტურებლად სკოლას წარმოდგენილი აქვს მოსწავლეთა ნამუშევრები, რვეულები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე არ არის დაგეგმილი და დაწერილი კურიკულუმის რეალიზება საკლასო გარემოში. არ არის გააზრებული კონკრეტული აქტივობა რომელ სამიზნე ცნებას მიემართება. მასწავლებელს არ აქვს დაგეგმილი პროცესი - კონკრეტული აქტივობებით საბოლოოდ რომელ გრძელვადიან მიზანზე გადის, რადგან კურიკულუმში აღწერილი მისაღწევი შედეგები არ არის თანხვედრაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ზემოთაღნიშნულისა, პროცესი

იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. მასწავლებლებს აქვთ მზაობა წარმართონ სასწავლო პროცესი, სადაც ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლის როლი იქნება ორგანიზებული, მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები, გასვლითი მეცადინეობები, თანამშრომლობითი აქტივობები და სხვა - ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს და გაითვალისწინოს მისი წინარე ცოდნა, მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებას ააქტიურებენ და ქმნიან სხვადასხვა პროდუქტს, კეთებით სწავლობენ. სკოლაში არსებული ეპოქალური სწავლების სტრუქტურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამყაროს გაცნობის, მასალის გაგების, მიღებული ცოდნის უნარად გარდაქმნისა და წინარე ცოდნის გააქტიურების პროცესში. სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. ძირითადად კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. სწავლების მიზნები და მიმართულებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. იმისათვის რომ ახალი ცოდნის დაფუძნება მოხდეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით საჭიროა გათვალისწინებული იყოს ორი ფაქტორი: თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვას ადგილი არ აქვს. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებებითა და შემაჯამებლების ანალიზით თუ ვიმსჯელებთ მასწავლებლებლები ახორციელებელ კომპლექსური ბუნების დავალებებს. მიუხედავად იმ ფაქტისა რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, პრობლემა მაინც საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაშია, რაც აფერხებს რეალურის სურათის დანახვის შესაძლებლობას. მიუხედავად

ზემოთაღნიშნულისა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებზე, შემაჯამებლის ანალიზისა და მითითებულ სასწავლო რესურსებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნთ რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნზე დაფუძნებით მიმდინარეობს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. სხვადასხვა საგნის მიზნები და მიმართულებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავენ ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია რომ „ ისწავლო სწავლა“ - ნიშნავს სასწავლო პროცესის დაწყებისა და წარმართვის ორგანიზების უნარს, როგორც პერსონალურად, ისე ჯგუფურად. რაც მოიცავს პირად სასწავლო საჭიროებათა გაცნობიერებას, სასწავლო შეთავაზებების მოძიებას და დაბრკოლებების გადალახვის უნარს, სასწავლო წარმატებისთვის.“ რადგან უცხო ენისა და მათემატიკის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა, არ არის მოცემული კომპლექსური დავალებების იდიეები, საკითხები, ქვესაკითხები ვერ ხერხდება დადგენა როგორ ხორციელდება სწავლის სწავლა. მოსწავლეების ცალკეულ ნამუშევრებში შესაძლებელია შეიმჩნეოდეს ცალკეულ უნარსა თუ ღირებულებებზე მუშაობის ელემენტები, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სახელმწიფო ენის, ტექნოლოგიების, სპორტის, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ესთეტიკური აღზრდის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია, რადგან ინტერვიუს დროს პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩნისა და გადაჭრის

გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა გეგმავს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში თემატური დაგეგმვის უზრუნველყოფას, კომპლექსური დავალებების იდეების, საკითხების, ქვესაკითხების გათვალისწინებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

4. სკოლის მიერ წაროდგენილი მასალები, აქტივობები, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქცენტს აკეთებენ პირობისეულ ცოდნაზე, ეპოქის რვეული, სპექტაკლები ეპოქის ბოლოს, შემაჯამებელი დავალებები და სხვ. ამის დასტურია. მიუხედავად იმისა რომ მათ არ აქვთ გაწერილი შესაბამის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ხასიათის დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე. აღნიშნეს რომ მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური ხასიათის დავალებები ეხმარება მოსწავლეებს განივითარონ სააზროვნო უნარები. ისინი დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა გამოიყენეონ ცოდნის სამივე კატეგორია. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა სკოლაში მიღებული ცოდნა გამოიყენეონ ცხოვრებაში.

დაწყებით საფეხურზე არაა წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით კი შეუძლებელია დავასკვნათ, თუ როგორ ხდება მათემატიკის მიმართულებით მოსწავლის მიერ საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრება და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირება. შესაბამისად, **სკოლა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოცემული ინდიკატორის შესაბამისად.**

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა გეგმავს დაწყებით საფეხურზე მათემატიკის კურიკულუმების შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

5. სკოლა სსგ-ით განსაზღვარს ეპოქალური სწავლების პარადიგმას და ვალდორფის პედაგოგიკის ეს დიდაქტიკური საგაკვეთილო ფორმა „ეკონომიური“ სწავლების საუკეთესო საგაკვეთილო მოდელად განიხილება, რომელიც სხვადასხვა საგანთა ინტეგრირების საშუალებასაც იძლევა. სკოლამ წარმოადგინა ექსკურსიების, გასვლითი გკვეთილების ჩანაწერები, რომლებითაც დასტურდება, რომ მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ორგანიზებას, ამჟღავნებენ სოციალურ უნარებს, ისტორიასა და გარემოზე ზემოქმედების საშუალებებს აკავშირებენ ერთმანეთთან და სხვ.

რადგანაც სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები, კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. ასევე, მიზნები და მიმართულებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმებში არ ჩანს თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალების იდეები. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები კი სწორედ ის საკვანძო ასპექტებია,

რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. მოსწავლის ცალკეულ ნამუშევრებში ჩანს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა, თუმცა ეს მთლიანი სურათის შესაფასებლად საკმარისი არ არის. ასევე მასწავლებლებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება , რომლის დამადასტურებელ საბუთად მხოლოდ მოსწავლის ნამუშევარი შეუძლიათ წარადგინონ. ვერ წარმოადგინეს მსგავსი ტიპის გაკვეთილების დაგეგმვის ნიმუში, რომელიც მოგვცემდა სურათს მსგავსი ტიპის გაკვეთილებზე მუშაობის მიზანი პროდუქტის წარდგენაა თუ პროდუქტზე მუშაობისთვის საჭირო ცოდნათა ორგანიზება.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა გეგმავს დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალების იდეების შემუშავებას, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას მოითხოვს.. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კურიკულუმები (დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური) დანართი 1 სსგ 2022-23 სასწავლო წელი
- სკოლის facebook გვერდი
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- მე-6 კლასის გასვლა-ბანაკი ბირთვისში(პროექტის გეგმა)

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. ასევე მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში მოცემული არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს,საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება; რა არის

გრძელვადიანი მიზანი; თავადვე აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ვერ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა გეგმავს დაწყებითი კლასის ყველა კურიკულუმში, გარდა ქართულის მეორე კლასისა, სტანდარტის ინდიკატორების და მისაღწევი შედეეგების გათვალისწინება კლასების მიხედვით. მიზნების და მიმართულებების ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში მოყვანას. კურიკულუმში თემატურ ბლოკების, სამიზნე ცნებების, საკითხების და ქვესაკითხებს გათვალისწინებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

2. ბუნებისმეტყველების, სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ეს კი ჩანს მოსწავლეთა შესრულებულ დავალებებში, არაფორმალური განათლების ღონისძიებებში, სასკოლო სასწავლო გეგმის სხვადასხვა მონაკვეთში. საგნობრივი საკითხვები შერჩეულია მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, მისი უახლოესი განვითარების ზონის გათვალისნიწნებით. ჩანაწერი სსგ-ში: კვალიფიკაციის გათვალისწინებით, სკოლა უფლებამოსილებას ანიჭებს პედაგოგს, გარდა განსაზღვრული სახელმძღვანელოებისა, თავად შეარჩიოს მასალა და მისი გადაცემის ფორმები, რაც უზრუნველყოფს პედაგოგის შემოქმედებითობასა და თავისუფლებას. პედაგოგი, კლასის თავისებურებებზე დაყრდნობით, მოსწავლეებს გადასცემს საინტერესო, მრავალმხრივ აღქმად შინაარსებს, ამით აცოცხლებს სასწავლო პროცესს და აღწევს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს. სპორტის ექსპერტიც დასძენს, პედაგოგოებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს

ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას. აქვე ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აღნიშნავს, რომ კურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული საგნობრივი კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები, წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მაგრამ ინდიკატორის მოთხოვნებს დაკმაყოფილებულად ვერ მოიაზრებენ უცხოური ენის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების ექსპერტები. დაწყებით საფეხურზე არაა წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები. პირველ და მეორე უცხოურ ენაში, ასევე ტექნოლოგიების კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. კურიკულუმში მოცემული არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს,საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება; რა არის გრძელვადიანი მიზანი; თავადვე აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. შესაბამისად, რადგან კურიკულუმში საგნობრივი კონტექსტები მოცემული არ არის, არ გვაქვს სურათი, მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული საგნობრივი კონტექსტები რამდენად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს კურიკულუმში საგნობრივი კონტექსტების გათვალისწინებას, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია -

24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

3. სახელმწიფო ენაში - სკოლაში დაწყებით საფეხურზე განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასება (V-VI კლასები) გამოიყენება, დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს მოსწავლის მოსწრებისა და განვითარების ვრცელ დახასიათებას, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი განმავითარებელ კომენტარებს აძლევენ მოსწავლეებს რვეულებში დაფიქსირებით, სემესტრისა და წლის ბოლოს ვრცელ დახასიათებას, რომელიც არის ჰოლისტური. ბუნებისმეტყველებისა და ტექნოლოგიების ექსპერტებიც აღნიშნავენ, ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ ჰოლისტურ შეფასებას იყენებენ მოსწავლეების ზოგადი შეფასებისთვის, ხოლო განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ სიტყვიერ კომენტარს, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს.

სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები პირველ და მეორე უცხოურ ენაში. კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. ასევე, უცხოური ენის სწავლების მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში მოცემლი არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს,საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე, მათემატიკის კათედრას კი წარმოდგენილი არ აქვს კურიკულუმები, არც განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია რომ ხელმძღვანელობენ ორი ტიპის შეფასებით: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. თუმცა ვერცერთ მათგანში რუბრიკების წარმოდგენა ვერ მოხერხდა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის, ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურისთვის არ აქვთ

წარმოდგენილი თემების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს.

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება, ქვეცნება, გრძელვადიანი მიზანი, როგორ უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებული არ არიმ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს შეფასების რუბრიკების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

4. სახელმწიფო ენის, ტექნოლოგიების, ბუნებისმეტყველებისა და სპორტის ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ - ინტერვიუს დროს მიღებულ ინფორმაციაზე შეფასების სისტემის სანდოობის, ობიქტურობის, ვალიდურობისთვის შეფასების რუბრიკები კათედრაზე მუშავდება, მასში ჩართულია ხარისხის მართვის ჯგუფი. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს, თავადაც აფასებინებენ ერთმანეთს და თვითშეფასებასაც მიმართავენ. უცხოური ენებისა და მათემატიკის ექსპერტები აღნიშნავეენ რომ შეფასების კონცეფციას და მიზანს განსაზღვრავს მესამე თაობის ესგ (სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები/შედეგები, სამიზნე ცნებები, საკვანძო შეკითხვები და მკვიდრი წარმოდგენები). სკოლაში მოქმედებს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი და განმავითარებელი შეფასება. შეფასება, რადგან სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. მნიშვნელოვანია რომ ის სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებული და

გაზიარებული იყოს. აუცილებელია შეფასების დიზაინის შემუშავების პროცესში მოსწავლეების ჩართვა და მათი ობიექტური აზრის გათვალისწინება. შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. კათედრას აქვს მზაობა გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში დააკმაყოფილოს აღნიშნული ინდიკატორი, სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოცემული ინდიკატორის შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტიც დასძენს რომ კათედრაზე აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი, თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, თუმცა ეს კრიტერიუმები არ უკავშირდება ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს. აქედან გამომდინარე არ არის ვალიდური.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს რუბრიკების მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით შემუშავებას, შეფასების კონცეფციის და მიზანის განსაზღვრას (სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები/შედეგები, სამიზნე ცნებები, საკვანძო შეკითხვები და მკვიდრი წარმოდგენები). შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

5. დაწყებით საფეხურზე სკოლას ცალკე დოკუმენტად ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი არ წარმოუდგენია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებლის ანალიზებს, ყოველკვირეულად მიმდინარეობს შეხვედრები, სასწავლო წლის დასასრულს მასწავლებელი წერს მოსწავლის დახასიათებას და აღწერს მის მიერ მიღწეულ შედეგებს. თუმცა, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრვი სტანდარტების შედეგები, თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

6. სკოლას საქმეთა მმართველის ფუნციაში გაწერილი აქვს მისი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით მასში ახალი ინფორმაციის ასახვა, შესაბამისად შეფასების მასალებიც ინახება პირად საქმეში, ინტერვიუს დროს მასწავლებლები წარმაოდგენენ ეპოქის რვეულებს, სხვადასხვა შეფასებულ აქტივობას და ადასტურებენ, რომ სკოლა ინახავს აღნიშნულ მასალას. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსგ
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- ეპოქის რვეული
- მოსწავლის განმავითარებელი დახასიათება
- მოსწავლეთა შემაჯამებელი წერები

- სასწავლო პროექტები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების ანალიზის ფორმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3 სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების ფუნქცია მოვალეობები, სადაც ნათლად იკითხება თითოეული მათგანის როლი, რაც ხელს უწყობს ჩამოაყალიბოს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე. სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ინტერაქციას ენიჭება, ჩანს რომ მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. სკოლას აქვს რესურსები, სახელოსნოები, სხვადასხვა სახელოვნებო საგნების სწავლებისათვის, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კვებას აქვთ სასადილო და გაკვეთილებს შორის გამოყოფილი დრო მოსწავლეთა კვებისათვის. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების გუნდი, რომელიც ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე და ზრუნავს

მოსწავლეთა დიფერენცილებულ სწავლებაზე. სკოლაში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების მხარდასაჭერად შექმნილია მულტიდისციპლინური გუნდი, რომელსაც ევალება პროცესების მონიტორინგი და შეფასება. საგაკვეთილო პროცესის დახვეწის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია შიდა მონიტორინგის ფურცელი. ხორციელდება სასკოლო ღონისძიებები და საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად განსაზღვრულია მოსწავლეებისთვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემას, რომელსაც კათედრების აქტიური მუშაობის შედეგად მიღწევას გეგმავს, კათედრებს კომპლექსური დავალებების წარმოდგენის ვალდებულებას ანიჭებს და ამ გზით მოსწავლეზე ორინტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამასთან დაწყებით საფეხურზე მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში მაღალია. სასკოლო სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. ყოველივე ზემოთაღნიშნული კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული განვითარებას.

ინდიკატრის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, ერთწლიან გეგმაში გაწერილია თანამშრომლოითი კულტურის გასაძლიერებელი მექანიზმები. კათედრების თანაშრომლობა, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლობა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა რომ ისინიც ხელშემწყობნი არიან მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის გაღვივებას, ჯგუფური სამუშაოები, წყვილებში მუშაობა ეხმარება მათ განავითარონ ეს უნარები მოსწავლეებში. თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლის ერთ-ერთი ძლიერი

მხარეა. რაც ბევრ სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. სკოლა ყოველკვირეულად იკრიბება მასწავლებელთა კონფერენციაზე და სასკოლო სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლა აძლიერებს თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. პოზიტიური კლიმატის დადასტურებაა ის არაფორმალური აქტივობები, ღონისძიებები რომელბიც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში ჩანს. სკოლა მისიაძიც ხაზს უსვამს შემდეგს: მოსწავლის ჯანსაღი განვითარებისთვის პედაგოგები და მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ და პასუხისმგებლობებს ინაწილებენ როგორც აღმზრდელობით, ასევე სკოლის მართვის სფეროში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ერთლიანი გეგმა
- სკოლის მისია
- სსგ
- ეპოქის რვეული
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,
- „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის“ გამგეობის, გაძღოლის კონფერენციის და საინიციატივო ჯგუფის შეთანხმება სათათბიროს რეგლამენტის თაობაზე.
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცედურები, მონიტორინგსა და შეფასების ნაწილი ძირითადად განსაზღვრულია ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობებში, ხარისხის მართვ ის ჯგუფი ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს, შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" ციკლის პრინციპით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს, როგორც მონიტორინგს, ასევე შეფასებას. ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს, შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობდესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ატარებს გამოკითხვას მოსწავლეებთან, მშობლებთან მასწავლებლებთან არსებული პრობლემების გამოსავლენად და გამოითხვის შედეგებს იყენებს პრობლემის გადასაჭრელად. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" ციკლის პრინციპით. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი,

რომელიც ახორციელებს, როგორც მონიტორინგს, ასევე შეფასებას. ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს, შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო წლის მანძილზე, მონიტორინგისა და შეფასებისას გამოკვეთილი მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით. ყველა კათედრა მჭიდრო კომუნიკაციაშია სხვა საგნობრივ კათედრებთან და მათთან ერთად გეგმავს თავის საქმიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- სსგ
- კურიკულუმის მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეული თავიანთი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხარისხის მართვის ჯგუფი, კათედრის თავმჯდომარე, კონკრეტული მასწავლებელი და ა.შ აგრეთვე მოსწავლეებს და მშობლებს ეგზავნებათ კითხვარები, ხდება მათი გაანალიზება და უკუკავშირის გათვალისწინება, მაგრამ სკოლას წამოდგენილი არ აქვს სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებლი წყაროების გამოკითხვის ფორმები, მათი ანალიზი.
აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებლი წყაროების გამოკითხვის ფორმების, მათი ანალიზის უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

2. სკოლაში შეფასების პროცესი მიმდინარეობს არა ცალმხრივად, არამედ ჰოლისტურად, სადაც გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი, მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესებზე და ისე გეგმავენ როგორც მიმდინარე საგაკვეთილო პროცესს, ასევე ეპოქის გაკვეთილებს. მაგრამ მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწავლის

პროდუქტულობაზე ახდენს გავლენას. მასწავლებელი საკუთარი პედაგოგიური პარაქტიკის კვლევისას, რომლის მიზანია შეისწავლოს რამდენად ეფექტურია მისი შემუშავებული ინტერვენცია სწავლის შედეგების თვალსაზრისით, აუცილებლად კონტექსტსაც ითვალისწინებს. დასკვნის ვალიდაციას სწორედ ეს მრავალი კოტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს. წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით არ იკითხება რომ შეფასებისას ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინება.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს შეფასების მრავალი კონტექსტის გათვალისწინებას . აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

3. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავენ მასწავლებელის მიერ დაკვირვებასა და ჩანაწერებს, რომელსაც ისინი მაგალითად აკეთებენ მოსწავლის რეფლექსიებში, საკუთარ ჟურნალში. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს და ა.შ. რაც შეეხება სასწავლო პროცესის შეფასებას, აქაც მონაცემები გროვდება მასწავლებელთა რეფლექსიების, კათედრის ოქმების, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროცესის კოორდინატორის ანგარიშის, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა სსგ-ის ერთ-ერთ თავში საუბრობს შეფასების სპეციფიკაზე, მეთოდებზე. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას, მოსწავლეთა დიაგნოსტრებას და საჭიროებებსი დადგენას დაკვირვებით ახორციელებნ ძირითადად, რომლის დროსაც მრავალი ფაქტორის გათვალისწინება

ხდება. რადგანაც ყველაზე ტიპური პროცესი, რომელიც გვიჩვენებს შეფასების მულტიფაქტორულ მიდგომას, არის მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების ანალიზი. რაც წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ ჩანს.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს შეფასების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინების უზრუნველყოფას. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს პედაგოგიური კონფერენცია, მშობლებთან თანამშრომლობის, საგნობრივი კათედრების, ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქცია მოვალეობები და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები , აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოუმენტი არეგულირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობასა სსსგ-ის განვითარებაში. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას იძლევა დადგინდეს რომ იქმნება კურიკულუმის განვიათარებისათვის რეკომენდაცების პაკეტი. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ან მათი წარმომადგენლები მონაწილეობენ სასწავლო წლის, სემესტრის შემაჯამებელ სხდომებში და აფიქსირებენ საუთარ მოსაზრებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად საჭირო აქტივობებად მასწავლებლები ასახელებენ კათედრაზე მიმდინარე პროცესებს, მაგალითად გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მოსწავლეთა გამოითხვის ანალიზი და მის

საფუძველზე გამოვლენილი წამატებული თუ ხარვეზის შემცველი გამოცდილების გამოყენებას. კურიკულუმის მეთოდოლოგია აღწერს გადამუშავებული კურიკულუმის შექმნის პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სსგ
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- კურიკულუმის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. ურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.

სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გამოყოფილია შემუშავების საფეხურები და პასუხისმგებელი პირები, მეთოდოლოგიაშივე საუბარია ჩართულ მხარეებზე, როგორებიცაა: პედაგოგიური კონფერენცია, გაძღოლის კონფერენცია, კავშირის გამგეობა, ხარისხის მართვის ჯგუფი, მშობელთა სათათბირო. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და პროცედურების შესახებ საუბარია მეთოდოლოგიაში, რაც ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური პრინციპები, ხაზს უსვამს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებლობას. მეთოდოლოგიაშივე საუბარია, რომ სკოლა მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებას იწყებს წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის მიერ ნაჩვენებ აქტივობებში, მასალაში, გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპების გატარება სკოლას საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაბამისად წარმართოს სასწავლო და აღმზრდებითი პროცესი. საბაზო საფეხურზე კლასს ჰყავს მზრუნველი (IX კლასი) რომელიც აქტიურ კომუნიაკაციას ამყარებს მშობლებთან და ითვალისწინებს მათ ინტერესებს. მოსწავლეთა მშობლები არიან სათათბიროს წევრები და შესაბამისად მათი ინტერესები აისახება კურიკულუმში, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ღონისძიებაში. ვალდორფის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას საბაზო საფეხურზე, არჩევით დამატებით აღმზრდელობით მომსახურებას წარმოადგენს აგრეთვე მაღალი კლასების ორკესტრი და გუნდი

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში, ამასთან, კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია გაზიარებული და შეთანხმებულია. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს თავდაპირველად იკრიბება პედაგოგიური კონფერენცია და ახდენს გავლილი წლის საქმიანობის უკუკავშირს - გამოცდილების განხილვასა და გაანალიზებას; კურიკულუმის შემუშავების გზაზე შემდეგი ნაბიჯია გაძღოლის კონფერენციისა და კავშირის გამგეობის ერთობლივი შეხვედრა, სადაც პადაგოგთა მიერ გაკეთებულ უკუკავშირს ემატება მშობელთა მოსაზრებებიც;
ამის შემდეგ ანალიზის შედეგები გადაეცემა სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფს და მის მიერ ხდება შემდეგი წლის კურიკულუმის შემუშავება; ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ კურიკულუმში ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება; სასკოლო საზოგადოება ხდება კურიკულუმის შემუშავების პროცესის მონაწილე და შესაბამისად ბოლომდე იზიარებს მას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში(სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი მაგ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი)და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან გასაურებით დგინდება, რომ გაზიარების პროცესს, სკოლა 2 მიმართულებით აღიქვამს, ერთი რომ თავად კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა იწვევს ჩართულ მხარეებში პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის განცდას და მეორე ხელმისაწვდომობას, სკოლა მოცემულს უზრუნველყოფს სხვადასხვა საინფორმაციო არხის საშუალებით. როგორიცაა სკოლის ვებ.გვერდი, FACEBOOK გვერდი, ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კურიკულუმები(დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური) დანართი 1 სსგ 2022-23 სასწავლო წელი
- სკოლის ვებ. გვერდი და FACEBOOK გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

6. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
7. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
8. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
9. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
10. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საზოგადოებრივი მეცნიერებების, სახელმწიფო ენისა და ესთეტიკური აღზრდის ექსპერტები აღნიშნავენ** - სკოლის მიმდინარე წლის კურიკულუმში ასახულია ვალდორფის პედაგოგიკის ზოგადპედაგოგიკური და მეთოდური პრინციპები და იდეები, მათ შორის პრიორიტეტულია მოსწავლეზე ორიენტირების პრინციპი - გულისხმობს დიდაქტიკისა და მეთოდიკის მუდმივ შესაბამისობას მოსწავლის ასაკობრივ ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებთან და განვითარების პერსპექტივებთან. სკოლის მიერ ე.წ. ეპოქის გაკვეთილებზე შერჩეული თემატიკა, საკითხთა კლასტერი, მუშაობის პრონციპები ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებას. სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიიდან ჩანს, სკოლა გეგმავს, რომ სხვადასხვა ინტერესების მქონე ახალგაზრდა ადამიანებს ზოგადი განათლების სახით ძირეული ცხოვრებისეული საყრდენი შესთავაზოს.

ასევე დაგეგმილი და გაწერილია ყველა ის ღონისძიება, ექსკურსია, სასწავლო გასვლა, სპექტაკლი, კონცერტი, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასტურია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეზე ორიენტირების პრინციპი - გულისხმობს დიდაქტიკისა და მეთოდიკის მუდმივ შესაბამისობას მოსწავლის ასაკობრივ ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებთან და განვითარების პერსპექტივებთან. ამასთან სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. კურიკულუმებში, გარდა მცირე გამონაკლისისა, მოცემული იყო სასწავლო საგნის შინაარსი, საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები, სწავლის შედეგები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უშუალოდ სასწავლო პროცესი წარიმართება საინტერესოდ, აქცენტი კეთდება მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, რისი მტკიცებულებადაც მოსწავლეთა ნამუშევრები, სპექტაკლები, პროექტები წარმოადგინეს. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. თუმცა უშუალოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვისად ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი არ წარმოადგენს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება; რა არის გრძელვადიანი მიზანი; როგორ უნდა შეიმუშაონ განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თავადვე აღნიშნეს, რომ საჭიროებენ გადამზადებას ამ კუთხით. შესაბამისად, შემუშავებული კურიკულუმი/ები არ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა საგნის საბაზო საფეხურის კურიკულუმები, კურიკულუმებში თემების სწორად არის გაწერილი. კლასის საჭიროებებზეა მორგებული აქტივობები და რესურსები, რომლებიც გამოყენებული არის კონკრეტული საკითხის თუ თემის დამუშავებისას. კურიკულუმის შესაბამისობაშია მოყვანილი მესამე თაობის ე,ს.გ. სტანდატებთან. აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. გარდა რამდენიმე გამონაკლისისა საბაზო საფეხურის კურიკულუმში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. სწავლების მიზნები და მიმართულებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში არ ჩანდა რამდენად ეფუძნებოდა დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტები გრძელვადიან მიზნებს; როგორ მიდის სკოლა სამიზნე ნიშნულამდე, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ამასთან სკოლის მიერ კურიკულუმებში აღწერილი მისაღწევი შედეგი არ მოდის თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან. **სახელმწიფო ენაში -** საბაზო საფეხურზე, მე- 9 კლასის კურიკულუმში საუბარია გრძელვადიან მიზნებზე, მაგრამ არ არის პროგრამაში ასახული როგორ მოხდება ამ მიზნებზე გასვლა, მასწავლებლები ინტერვიუს დროს ამჟღავნებენ სამიზნე ცნებების ცოდნას საფეხურების მიხედვით, საუბრობენ აქტივობებზე, რომელთა საშუალებით გადიან კონკრეტულ გრძელვადიან მიზანზე. მასწავლებელი წლიურ რეფლექსიაში საუბრობს, რომ შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენა კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, მე-9 კლასის კურიკულუმის ზოგადი ნიმუში,მასწავლებლებთან გასაუბრება, საშუალებას მაძლევს დავასკვნა, რომ თუ სკოლა სამივე კლასისთვის(მე-7,8,9) შეუმუშავებს კურიკულუმებს გრძელვადიანი მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით, ინდიკატორი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად. მათემატიკაშიც მე-7 და მე-8 კლასის კურიკულუმებში გაწერილია თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი გაწერილია, მაგრამ არაა კომპლექსური დავალებები.

გასაუბრებისას რამდენიმე კათედრის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ არ იცნობს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. და ფიქრობენ რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. სკოლას აქვს მზაობა დაწყებით საფეხურზე შეუძლია ყველა კლასისთვის შეიმუშაოს კურიკულუმი, გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ინდიკატორი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმები არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების მიხედვით, სასწავლო პროცესისთვის იგეგმება სავალდებულო თემები, რომლის ფარგლებშიც უნდა დამუშავდეს ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა საგნის საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაფუძნება დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტების გრძელვადიან მიზნებზე - როგორ მიდის სკოლა სამიზნე ნიშნულამდე, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში მისაღწევი შედეგის თანხვედრაში მოყვანილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან. აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რჩევა: ფიზიკაში მე-7 კლასში სამიზნე ცნებები კურიკულუმში მითითებული იქნას მესამე თაობის ე.ს.გ.- ს შესაბამისად.

3. სკოლა სასწავლო პროცესს ხედავს, როგორც მოსწავლეზე ფოკუსირებული და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ მიმართულ ღონისძიებათა ციკლს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები , პოტენციალი, საჭიროებები.მასწავლბლები ინტერვიუს დროს ადასრურებენ სპექტაკლებისა თუ სხვადასხვა ჯგუფური სამუშაოს ორგანიზებისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სადაც გაწერილია რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ პრობლემის იდენტიფიცირებიდან მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭებამდე, სტატუსის განსაზღვრიდან ინდივიდუალური გეგმის შექმნისათვის, გეგმის განხორციელების პროცესში მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებით დამთავრებული. ამის დამადასტურებელია ასევე მათემატიკის IX კლასის კურიკულუმი, რომელშიც გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის

მოსწავლეებისათვის. დამატებითი ინფორმაციისა და დეტალების მოძიება შესაძლებელი გახდა ვიზიტის დროს მასწავლებელთან გასაუბრებით. მასწავლებელმა აღნიშნა რომ მოსწავლის სწავლის პროცესს აკვირდებიან, მონაცემებს აგროვებენ, მათი ანალიზის საფუძველზე კი მოსწავლის საჭიროებებსა და ძლიერ მხარეებს ადგენენ, მოსწავლის სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. სკოლას ამასთან წარმოადგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უცხოურ ენაში. (სადაც იკითხებოდა მოსწავლის სახელი და გვარი)

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სსგ-თ სკოლა განსაზღვრავს შეფასების 2 ტიპს საბაზო საფეხურზე, სკოლა განმსაზღვრელ შეფასებას აწარმოებს მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან ხოლო განმავითარებელ შეფასებას პირველი კლასიდან. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას არ გამოყოფენ სასწავლო პროცესიდან, არამედ პირიქით სასწავლო პროცესის ნაწილად აღიქვამენ მას. განმავითარებელი შეფასების ფორმად მასწავლებლები ასახელებენ ეპოქის რვეულებს, რომელსაც აწარმოებს ყველა მოსწავლე, აგრეთვე სემესტრულ და წლიურ დახასიათებებს, დახიასიათება არის დეტალური და ყველა ძლიერი და სუსტი მხარის დეკლარირებით, საჭირო რჩევების მითითებოთ. სახელმწიფო ენის მე-9 კლასის პროგრამაში გაწერილია რომ მოსწავლეთა ნამუშევრების შესწორება მოხდება კვირაში/2 კვირაში ერთხელ დეტალური კომენტირებით რვეულში. ედუპეიჯზე აისახება განმსაზღვრელი შეფასება+მოკლე კომენტარი. მასწავლებელთა წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები და ინტერვიუს დროს აღწერილი პროცესის მიხედვით, სკოლას ზოგადად აქვს შესაძლებლობა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება აწარმოოს იმგვარად, რომ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს ამისათვის მასწავლებლებს აქვთ

მზაობა, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და შექმნან განმსაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

5. **ინტერვიუს დროს,** მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა, მათი მხრიდან მუდმივად მიმდინარეობს თითოეულ აქტივობაზე დაკვირვება და სწორედ ამგვარად სხვადასხვა სახით შეგროვილი მონაცემების საფუძველზე დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების გათვალისწინება, იქნება ეს გაკვეთილის დაგეგმვა, აქტივობის, პროექტის თუ სხვა მიმდინარე პროცესი. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლა გასაზღვრავს რომ ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ხარისხის მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს არსებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. აგრეთვე საბაზო საფეხურზე მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს სპექტაკლებზე, გაკვეთლებზე, როგორც სკოლაში, ასევე გასვლით გაკვეთილებზე და იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას.

რადგანაც სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი ; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები; პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი. კათედრას აქვს მზაობა გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში დააკმაყოფილოს აღნიშნული ინდიკატორი, სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოცემული ინდიკატორის შესაბამისად.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნის კურიკულუმი
- მასწავლებლის წლიური ანგარიში
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კურიკულუმები(დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური) დანართი 1 სსგ 2022-23 სასწავლო წელი
- სკოლის ვებ. გვერდი და FACEBOOK გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან
- სსსმ მოსწავლეთა სერვისების მიწოდების რეგულაცია
- ისგ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში,(FACEBOOK, ვებ. გვედრზე განთავსებული მასალა) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მოსწავლეები აქტიურად არიან შემოქმედებით პროცესში ჩართულები,მასწავლებლები

ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას და ამუშავებს მას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული ეპოქალური სწავლების პარადიგმა ადასტურებს რომ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივება ხდება საინტერესო, მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებით. ვალდორფის მეთოდებით სწავლება იძლევა საშუალებას მოსწავლეთა შინაგანი მოტივაცია იყოს გააქტიურებული და აქტიურად იყვნენ ჩართულნი შემოქმედებით პროცესებში. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკეთილებზე მომზადებული დავალებები, შექმნილი პროდუქტები ამის მაგალითია. სასწავლო პროცესის განხორციელება ხდება როგორც საკლასო გარემოში, ასევე გასვლითი გაკვეთილების სახითაც, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. ვალდორფის სკოლებში ბუნებისმეტყველების სწავლება ხდება ერთიანი სურათ-ხატის ფარგლებში, მოსწავლეები გარემოს უშუალოდ აკვირდებიან და აღმოჩენის გზით შეიმეცნებენ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. მასწავლებლები ადევნებენ თვალს, უხსნიან და გზადაგზა, აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის აქტივობები მოსწავლეს უვითარებს სამყაროსთან მიკუთვნებულობის განცდას, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. არა მარტო მეცნიერული კუთხით, არამედ ზოგადი უნარების განვითარება ხდება მუშაობის ყოველ ეტაპზე. გამოსარჩევია ასევე ესთეტიკური აღზრდის საგნები, მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. გარდა პრაქტიკებისა **სპორტის** -7-9 კლასის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში შერჩეული და გაწერილია როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული მიმართულებით თემები, რაც, ბუნებრივია დადებითად აისახება მოსწავლეზე, რომ ის ფიზიკურთან ერთად გონებრივი უარების განვითარებასაც შეუწყობს ხელს. საფეხურის ფარგლებში დაგეგმილია ფესტივალები სადაც ჩართულია ყველა მოსწავლე. იძლევა სწავლების თავისუფალ არჩევანის საშუალებას, თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს პოცესში და გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები, გასვლითი მეცადინეობები, თანამშრომლობითი აქტივობები და სხვა - ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს და გაითვალისწინოს მისი წინარე ცოდნა, მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებას ააქტიურებენ და ქმნიან სხვადასხვა პროდუქტს, კეთებით სწავლობენ. სკოლაში არსებული ეპოქალური სწავლების სტრუქტურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამყაროს გაცნობის, მასალის გაგების, მიღებული ცოდნის უნარად გარდაქმნისა და წინარე ცოდნის გააქტიურების პროცესში. სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. ძირითადად კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. სწავლების მიზნები და მიმართულებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. იმისათვის რომ ახალი ცოდნის დაფუძნება მოხდეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით საჭიროა გათვალისწინებული იყოს ორი ფაქტორი: თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვას ადგილი არ აქვს. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებებითა და შემაჯამებლების ანალიზით თუ ვიმსჯელებთ მასწავლებლებლები ახორციელებელ კომპლექსური ბუნების დავალებებს. სკოლა სსგ-ით განსაზღვრავს რომ საბაზო საფეხურზე იწყება პრაქტიკების მეშვეობით ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვების პროცესი, კერძოდ მე-9 კლასის გაზაფხულზე სასწავლო ცხრილი მოიცავს ორკვირიან სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკასაც, კონკრეტული გამოცდილების მიღების გარდა, პრაქტიკის პერიოდში მნიშვნელოვნად ვითარდება სოციალური კომპეტენცია. მსგავსი აქტივობები წინასწარ განიხილება/იგეგმება/ხორციელდება და, დასრულების შემდეგ, უკუკავშირისას, ხდება ჩავლილი პროცესის გაანალიზება, საბოლოოდ კი მისი წარდგენა სკოლის ფართო საზოგადოების წინაშე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. სხვადასხვა საგნის მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავენ ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია რომ „ ისწავლო სწავლა“ - ნიშნავს სასწავლო პროცესის დაწყებისა და წარმართვის ორგანიზების უნარს, როგორც პერსონალურად, ისე ჯგუფურად. რაც მოიცავს პირად სასწავლო საჭიროებათა გაცნობიერებას, სასწავლო შეთავაზებების მოძიებას და დაბრკოლებების გადალახვის უნარს, სასწავლო წარმატებისთვის.“ რადგან უცხო ენის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა, არ არის მოცემული კომპლექსური დავალებების იდიეები, საკითხები, ქვესაკითხები ვერ ხერხდება დადგენა როგორ ხორციელდება სწავლის სწავლა. მოსწავლეების ცალკეულ ნამუშევრებში შესაძლებელია შეიმჩნეოდეს ცალკეულ უნარსა თუ ღირებულებებზე მუშაობის ელემენტები, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სახელმწიფო ენის, ტექნოლოგიების, სპორტის, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ესთეტიკური აღზრდის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია, რადგან ინტერვიუს დროს პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის აღმოჩნისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვის, კომპლექსური დავალებების იდეების, საკითხების, ქვესაკითხების გათვალისწინებას.აღნიშნული

აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალები, აქტივობები, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქცენტს აკეთებენ პირობისეულ ცოდნაზე, ეპოქის რვეული, სპექტაკლები ეპოქის ბოლოს, შემაჯამებელი დავალებები და სხვ. ამის დასტურია. მიუხედავად იმისა რომ მათ არ აქვთ გაწერილი შესაბამის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ხასიათის დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე. აღნიშნეს, რომ მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური ხასიათის დავალებები ეხმარება მოსწავლეებს განივითარონ სააზროვნო უნარები. ისინი დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა გამოიყენეონ ცოდნის სამივე კატეგორია. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა სკოლაში მიღებული ცოდნა გამოიყენეონ ცხოვრებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა სსგ-ით განსაზღვარს ეპოქალური სწავლების პარადიგმას და ვალდორფის პედაგოგიკის ეს დიდაქტიკური საგაკვეთილო ფორმა „ეკონომიური“ სწავლების საუკეთესო საგაკვეთილო მოდელად განიხილება, რომელიც სხვადასხვა საგანთა ინტეგრირების საშუალებასაც იძლევა. სკოლამ წარმოადგინა ექსკურსიების, გასვლითი გკვეთილების ჩანაწერები, რომლებითაც დასტურდება, რომ მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ორგანიზებას, ამჟღავნებენ სოციალურ უნარებს, ისტორიასა და გარემოზე ზემოქმედების საშუალებებს აკავშირებენ ერთმანეთთან და სხვ. მე- 8 კლასისში დაიდგმული სპექტაკლი ნათელი მაგალითია ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისა(ხელოვნება, მუსიკა, ლიტერატურა)

რადგანაც სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები, კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. ასევე, მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმებში არ ჩანს თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალების იდეები. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები კი სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. მოსწავლის ცალკეულ ნამუშევრებში ჩანს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა, თუმცა ეს მთლიანი სურათის შესაფასებლად საკმარისი არ არის. ასევე მასწავლებლებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება , რომლის დამადასტურებელ საბუთი მხოლოდ მოსწავლის ნამუშევარი შეუძლიათ წარადგინონ. ვერ წარმოადგინეს მსგავსი ტიპის გაკვეთილების დაგეგმვის ნიმუში, რომელიც მოგვცემდა სურათს მსგავსი ტიპის გაკვეთილებზე მუშაობის მიზანი პროდუქტის წარდგენაა თუ პროდუქტზე მუშაობისთვის საჭირო ცოდნათა ორგანიზება.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს კომპლექსური დავალების იდეების შემუშავებას, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას მოითხოვს. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შემაჯამებლის ანალიზი
- საგნობრივი კურიკულუმი

- შემაჯამებლის ანალიზი
- მისიისა და ხედვის დოკუმენტი
- ეპოქის რვეული
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კურიკულუმები(დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური) დანართი 1 სსგ 2022-23 სასწავლო წელი
- მასწავლებლის წლიური ანგარიში
- მე-9 კლასის პროგრამა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ საბაზო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. ძირითადად კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. ასევე მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში მოცემლი არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს,საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კურიკულუმებში საბაზო საფეხურზე მხოლოდ მე- 9 კლასის პროგრამაში ფიქსირდება გრძელვადიანი მიზნები და მასზე ორიენტირება, აქაც სრულყოფილად არ არის გამოყოფილი თემები, თემატური კონტექსტები თემაში დასაფარი ცნებები. წლის განმავლობაში გასავლელ საკითხთა კლასტერი. მასწავლებელი ინტერვიუს დროს ამჟღავნებს სამიზნე ცნებების ცოდნას, ასახელებს მათ და აღნიშნავს რომ წლის განმავლობაში ყველა სამიზნე ცნებას ფარავს.სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით, სკოლას აქვს მზაობა, კომპლექსურ დავალება წარმოადგინოს სრულყოფილად, შეფასების კრიტერიუმების მიხედვით ჩამოყალიბებული.

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება; რა არის გრძელვადიანი მიზანი; თავადვე აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ვერ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს კურიკულუმებში სტანდარტის ინდიკატორების და მისაღწევი შედეეგების გათვალისწინებას კლასების მიხედვით. მიზნების და მიმართულებების გათვალისწინებას, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში მოდის. კურიკულუმში თემატურ ბლოკების, სამიზნე ცნებების, საკითხების და

ქვესაკითხების გათვალისწინებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი.

2. ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ტექნოლოგიების, ესთეტიკური აღზრდის, სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ეს კი ჩანს მოსწავლეთა შესრულებულ დავალებებში, არაფორმალური განათლების ღონისიძიებებში, სასკოლო სასწავლო გეგმის სხვადასხვა მონაკვეთში. საგნობრივი საკითხვები შერჩეულია მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, მისი უახლოესი განვითარების ზონის გათვალისნიწნებით. ჩანაწერი სსგ-ში: კვალიფიკაციის გათვალისწინებით, სკოლა უფლებამოსილებას ანიჭებს პედაგოგს, გარდა განსაზღვრული სახელმძღვანელოებისა, თავად შეარჩიოს მასალა და მისი გადაცემის ფორმები, რაც უზრუნველყოფს პედაგოგის შემოქმედებითობასა და თავისუფლებას. პედაგოგი, კლასის თავისებურებებზე დაყრდნობით, მოსწავლეებს გადასცემს საინტერესო, მრავალმხრივ აღქმად შინაარსებს, ამით აცოცხლებს სასწავლო პროცესს და აღწევს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს. სპორტის ექსპერტიც დასძენს, პედაგოგოებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას. აქვე ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აღნიშნავს, რომკურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული საგნობრივი

კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები, წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მაგრამ ინდიკატორის მოთხოვნებს დაკმაყოფილებულად ვერ მოიაზრებს უცხოური ენის ექსპერტი. საბაზო საფეხურზე უცხოური ენის და ტექნოლოგიების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რადგანაც კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. კურიკულუმში მოცემული არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს, საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება; რა არის გრძელვადიანი მიზანი; თავადვე აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. შესაბამისად, რადგან კურიკულუმში საგნობრივი კონტექსტები მოცემული არ არის, არ გვაქვს სურათი, მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული საგნობრივი კონტექსტები რამდენად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს კურიკულუმში საგნობრივი კონტექსტების გათვალისწინებას, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი.

3. სახელმწიფო ენაში - საბაზო საფეხურზე განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება, განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს მოსწავლის მოსწრებისა და განვითარების ვრცელ დახასიათებას, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი განმავითარებელ კომენტარებს აძლევენ მოსწავლეებს

რვეულებში დაფიქსირებით, სემესტრისა და წლის ბოლოს ვრცელ დახასიათებას, რომელიც არის ჰოლისტური. ბუნებისმეტყველების, სპორტის, მათემატიკის, ესთეტიკური აღზრდის, საზოგდოებრივი მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ მასწავლებლებმა ინტერვიუში ისაუბრეს ჰოლისტური შეფასების გამოყენებაზე მოსწავლეების ზოგადი შეფასებისთვის, ხოლო განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებსა და სიტყვიერ კომენტარს.

სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. მასში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. ასევე სწავლების მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში მოცემლი არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს,საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია რომ ხელმძღვანელობენ ორი ტიპის შეფასებით: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. თუმცა ვერცერთ მათგანში რუბრიკების წარმოდგენა ვერ მოხერხდა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის, ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურისთვის არ აქვთ წარმოდგენილი თემების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს.

გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება, ქვეცნება, გრძელვადიანი მიზანი, როგორ უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებული არ არიმ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს შეფასების რუბრიკების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის

შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

4. სახელმწიფო ენის, ტექნოლოგიების, ბუნებისმეტყველებისა და სპორტის ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ - ინტერვიუს დროს მიღებულ ინფორმაციაზე შეფასების სისტემის სანდოობის, ობიქტურობის, ვალიდურობისთვის შეფასების რუბრიკები კათედრაზე მუშავდება, მასში ჩართულია ხარისხის მართვის ჯგუფი. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს თავადაც აფასებინებენ ერთმანეთს და თვითშეფასებასაც მიმართავენ. უცხოური ენებისა და მათემატიკის ექსპერტები აღნიშნავეენ რომ შეფასების კონცეფციას და მიზანს განსაზღვრავს მესამე თაობის ესგ (სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები/შედეგები, სამიზნე ცნებები, საკვანძო შეკითხვები და მკვიდრი წარმოდგენები). სკოლაში მოქმედებს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი და განმავითარებელი შეფასება. შეფასება, რადგან სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. მნიშვნელოვანია რომ ის სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებული იყოს. აუცილებელია შეფასების დიზაინის შემუშავების პროცესში მოსწავლეების ჩართვა და მათი ობიექტური აზრის გათვალისწინება. შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შეფასების. რუბრიკები. .კათედრას აქვს მზაობა გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში დააკმაყოფილოს აღნიშნული ინდიკატორი, სკოლა არ აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოცემული ინდიკატორის შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტიც დასძენს რომ კათედრაზე აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი, თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, თუმცა ეს კრიტერიუმები არ უკავშირდება ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს. აქედან გამომდინარე არ არის ვალიდური.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს რუბრიკების მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით შემუშავებას, შეფასების კონცეფციის და მიზანის განსაზღვრას (სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები/შედეგები, სამიზნე ცნებები, საკვანძო შეკითხვები და მკვიდრი წარმოდგენები). შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

5. **საბაზო** საფეხურზე სკოლას ცალკე დოკუმენტად ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი არ წარმოუდგენია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებლის ანალიზებს, ყოველკვირეულად მიმდინარეობს შეხვედრები, სასწავლო წლის დასასრულს მასწავლებელი წერს მოსწავლის დახასიათებას და აღწერს მის მიერ მიღწეულ შედეგებს. თუმცა, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრვი სტანდარტების შედეგები, თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

6. სკოლას საქმეთა მმართველის ფუნქციაში გაწერილი აქვს მისი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით მასში ახალი ინფორმაციის ასახვა, შესაბამისად შეფასების მასალებიც ინახება პირად საქმეში, ინტერვიუს დროს მასწავლებლები წარმაოდგენენ ეპოქის რვეულებს, სხვადასხვა შეფასებულ აქტივობას და ადასტურებენ, რომ

სკოლა ინახავს აღნიშნულ მასალას. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსგ
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- ეპოქის რვეული
- მოსწავლის განმავითარებელი დახასიათება
- მოსწავლეთა შემაჯამებელი წერები
- სასწავლო პროექტები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების ანალიზის ფორმები
- მე-9 კლასის პროგრამა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების ფუნქცია მოვალეობები, სადაც ნათლად იკითხება თითოეული მათგანის როლი, რაც ხელს უწყობს ჩამოაყალიბოს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე. სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ინტერაქციას ენიჭება, ჩანს რომ მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. სკოლას აქვს რესურსები, სახელოსნოები, სხვადასხვა სახელოვნებო საგნების სწავლებისათვის, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კვებას აქვთ სასადილო და გაკვეთილებს შორის გამოყოფილი დრო მოსწავლეთა კვებისათვის. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების გუნდი, რომელიც ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე და ზრუნავს მოსწვლეთა დიფერნცილებულ სწავლებაზე. სკოლაში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების მხარდასაჭერად შექმნილია მულტიდისციპლინური გუნდი, რომელსაც ევალება პროცესების მონიტორინგი და შეფასება. საგაკვეთილო პროცესის დახვეწის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია შიდა მონიტორინგის ფურცელი. ხორციელდება სასკოლო ღონისძიებები და საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად ასახავს მოსწავლეებისთვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემას, რომელსაც კათედრების აქტიური მუშაობის შედეგად მიღწევას გეგმავს, კათედრებს კომპლექსური დავალებების წარმოდგენის ვალდებულებას ანიჭებს და ამ გზით მოსწავლეზე ორინტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამასთან საბაზო საფეხურზე მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში მაღალია. სასკოლო სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. ყოველივე ზემოთაღნიშნული კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული განვითარებას.

ინდიკატრის მოთხოვნები დაკმაყოფილებუ;ლია

3. სკოლის შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, ერთწლიან გეგმაში გაწერილია თანამშრომლოითი კულტურის გასაძლიერებელი მექანიზმები. კათედრების თანაშრომლობა, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლობა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა რომ ისინიც ხელშემწყობნი არიან მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის გაღვივებას, ჯგუფური სამუშაოები, წყვილებში მუშაობა ეხმარება მათ განავითარონ ეს უნარები მოსწავლეებში. თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. რაც ბევრ სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. სკოლა ყოველკვირეულად იკრიბება მასწავლებელთა კონფერენციაზე და სასკოლო სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლა აძლიერებს თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. პოზიტიური კლიმატის დადასტურებაა ის არაფორმალური აქტივობები, ღონისძიებები რმელბიც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში ჩანს. სკოლა მისიაძიც ხაზს

უსვამს შემდეგს: მოსწავლის ჯანსაღი განვითარებისთვის პედაგოგები და მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ და პასუხისმგებლობებს ინაწილებენ როგორც აღმზრდელობით, ასევე სკოლის მართვის სფეროში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ერთლიანი გეგმა
- სკოლის მისია
- სსგ
- ეპოქის რვეული
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,
- „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის“ გამგეობის, გაძღოლის კონფერენციის და საინიციატივო ჯგუფის შეთანხმება სათათბიროს რეგლამენტის თაობაზე.
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცედურები, მონიტორინგსა და შეფასების ნაწილი ძირითადად განსაზღვრულია ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობებში, ხარისხის მართვის ჯგუფი ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს, შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის პრინციპით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს როგორც მონიტორინგს, ასევე შეფასებას. ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს, შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობდესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ატარებს გამოკითხვას მოსწავლეებთან, მშობლებთან მასწავლებლებთან არსებული პრობლემების გამოსავლენად და გამოითხვის შედეგებს იყენებს პრობლემის გადასაჭრელად. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" ციკლის პრინციპით. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს როგორც მონიტორინგს ასევე შეფასებას. ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს, შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო წლის მანძილზე, მონიტორინგისა და შეფასებისას გამოკვეთილი მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით. ყველა კათედრა მჭიდრო კომუნიკაციაშია სხვა საგნობრივ კათედრებთან და მათთან ერთად გეგმავს თავის საქმიანობას. კარგი იქნება სკოლამ წარმოადგინოს გამოკითხვის ფორმები, ანალიზები.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- სსგ
- კურიკულუმის მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეული თავიანთი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხარისხის მართვის ჯგუფი, კათედრის თავმჯდომარე, კონკრეტული მასწავლებელი და ა.შ აგრეთვე მოსწავლეებს და მშობლებს ეგზავნებათ კითხვარები, ხდება მათი გაანალიზება

და უკუკავშირის გათვალისწინება, მაგრამ სკოლას წამოდგენილი არ აქვს სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებლი წყაროების გამოკითხვის ფორმები, მათი ანალიზი.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებლი წყაროების გამოკითხვის ფორმების, მათი ანალიზის უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

2. სკოლაში შეფასების პროცესი მიმდინარეობს არა ცალმხრივად, არამედ ჰოლისტურად, სადაც გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი, მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესებზე და ისე გეგმავენ როგორც მიმდინარე საგაკვეთილო პროცესს, ასევე ეპოქის გაკვეთილებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავენ მასწავლებელის მიერ დაკვირვებასა და ჩანაწერებს, რომელსაც ისინი მაგალითად აკეთებენ მოსწავლის რეფლექსიებში, საკუთარ ჟურნალში. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს და ა.შ. რაც შეეხება სასწავლო პროცესის შეფასებას, აქაც მონაცემები გროვდება მასწავლებელთა რეფლექსიების, კათედრის ოქმების, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროცესის კოორდინატორის ანგარიშის, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა სსგ-ის ერთ-ერთ თავში საუბრობს შეფასების სპეციფიკაზე, მეთოდებზე როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას, მოსწავლეთა დიაგნოსტრებას და საჭიროებებსი დადგენას დაკვირვებით ახორციელებნ ძირითადად, რომლის დროსაც მრავალი ფაქტორის გათვალისწინება ხდება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს პედაგოგიური კონფერენცია, მშობლებთან თანამშრომლობის, საგნობრივი კათედრების, ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქცია მოვალეობები და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები , აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოუმენტი არეგულირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობასა სსსგ-ის განვითარებაში. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას იძლევა დადგინდეს რომ იქმნება კურიკულუმის განვიათარებისათვის რეკომენდაცების პაკეტი. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ან მათი წარმომადგენლები მონაწილეობენ სასწავლო წლის, სემესტრის შემაჯამებელ სხდომებში და აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად საჭირო აქტივობებად მასწავლებლები ასახელებენ კათედრაზე მიმდინარე პროცესებს, მაგალითად გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მოსწავლეთა გამოითხვის ანალიზი და მის საფუძველზე გამოვლენილი წამატებული თუ ხარვეზის შემცველი გამოცდილების გამოყენებას. კურიკულუმის მეთოდოლოგია აღწერს გადამუშავებული კურიკულუმის შექმნის პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სსგ
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- კურიკულუმის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი - საშუალო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (მიუთითეთ კურიკულუმის სახელწოდება)	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☑ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☑ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☑ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც გამოყოფილია შემუშავების საფეხურები და პასუხისმგებელი პირები, მეთოდოლოგიაშივე საუბარია ჩართულ მხარეებზე, როგორებიცაა: პედაგოგიური კონფერენცია, გაძღოლის კონფერენცია, კავშირის გამგეობა, ხარისხის მართვის ჯგუფი, მშობელთა სათათბირო. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების და პროცედურების შესახებ საუბარია მეთოდოლოგიაში, რაც ხაზს უსვამს სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობების გათვალისწინების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიური პრინციპები, ხაზს უსვამს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აუცილებლობას. მეთოდოლოგიაშივე საუბარია, რომ სკოლა მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებას იწყებს წინა წლის კურიკულუმის განხორციელების პროცესის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სკოლის მიერ ნაჩვენებ აქტივობებში, მასალაში, გამოკვეთილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპების გატარება სკოლას საშუალებას აძლევს სასკოლო საზოგადოების ინტერესების შესაბამისად წარმართოს სასწავლო და აღმზრდებითი პროცესი. საბაზო საფეხურზე კლასს ჰყავს მზრუნველი (IX კლასი) რომელიც აქტიურ კომუნიაკაციას ამყარებს მშობლებთან და ითვალისწინებს მათ ინტერესებს. მოსწავლეთა მშობლები არიან სათათბიროს წევრები და შესაბამისად მათი ინტერესები აისახება კურიკულუმში, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა ღონისძიებაში. ვალდორფის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით მომსახურებას საბაზო საფეხურზე, არჩევით დამატებით აღმზრდელობით მომსახურებას წარმოადგენს აგრეთვე მაღალი კლასების ორკესტრი და გუნდი

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში, ამასთან, კურიკულუმის მიმდინარე და მოქმედი ვერსია გაზიარებული და შეთანხმებულია. ყოველი სასწავლო წლის დასასრულს თავდაპირველად იკრიბება პედაგოგიური კონფერენცია და ახდენს გავლილი წლის საქმიანობის უკუკავშირს - გამოცდილების განხილვასა და გაანალიზებას; კურიკულუმის შემუშავების გზაზე შემდეგი ნაბიჯია გაძღოლის კონფერენციისა და კავშირის გამგეობის ერთობლივი შეხვედრა, სადაც პადაგოგთა მიერ გაკეთებულ უკუკავშირს ემატება მშობელთა მოსაზრებებიც;
ამის შემდეგ ანალიზის შედეგები გადაეცემა სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფს და მის მიერ ხდება შემდეგი წლის კურიკულუმის შემუშავება; ყოველივე ეს განაპირობებს იმას, რომ კურიკულუმში ხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება; სასკოლო საზოგადოება ხდება კურიკულუმის შემუშავების პროცესის მონაწილე და შესაბამისად ბოლომდე იზიარებს მას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში(სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობების აღმწერი დოკუმენტი მაგ. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი)და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებთან გასაურებით დგინდება, რომ გაზიარების პროცესს, სკოლა 2 მიმართულებით აღიქვამს, ერთი რომ თავად კურიკულუმის შემუშავების პროცესში აქტიური ჩართულობა იწვევს ჩართულ მხარეებში პასუხისმგებლობისა და მიკუთვნებულობის განცდას და მეორე ხელმისაწვდომობას, სკოლა მოცემულს უზრუნველყოფს სხვადასხვა საინფორმაციო არხის საშუალებით. როგორიცაა სკოლის ვებ.გვერდი, FACEBOOK გვერდი, ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან და ა.შ.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კურიკულუმები(დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური) დანართი 1 სსგ 2022-23 სასწავლო წელი
- სკოლის ვებ. გვერდი და FACEBOOK გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საზოგადოებრივი მეცნიერებების, სახელმწიფო ენისა და ესთეტიკური აღზრდის ექსპერტები აღნიშნავენ** - სკოლის მიმდინარე წლის კურიკულუმში ასახულია ვალდორფის პედაგოგიკის ზოგადპედაგოგიკური და მეთოდური პრინციპები და იდეები, მათ შორის პრიორიტეტულია მოსწავლეზე ორიენტირების პრინციპი - გულისხმობს დიდაქტიკისა და მეთოდიკის მუდმივ შესაბამისობას მოსწავლის ასაკობრივ ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებთან და განვითარების პერსპექტივებთან. სკოლის მიერ ე.წ. ეპოქის გაკვეთილებზე შერჩეული თემატიკა, საკითხთა კლასტერი, მუშაობის პრონციპები ხაზს უსვამს მოსწავლეზე ორიენტირებას. **ტექნოლოგიებ**ის ექსპერტი წერს, რომ სკოლის ტექნოლოგიების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი მე-10 კლასის კურიკულუმი არ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და

განვითარების გზას; სკოლის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიიდან ჩანს, სკოლა გეგმავს, რომ სხვადასხვა ინტერესების მქონე ახალგაზრდა ადამიანებს ზოგადი განათლების სახით ძირეული ცხოვრებისეული საყრდენი შესთავაზოს. ასევე დაგეგმილი და გაწერილია ყველა ის ღონისძიება, ექსკურსია, სასწავლო გასვლა, სპექტაკლი, კონცერტი, რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დასტურია. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლეზე ორიენტირების პრინციპი - გულისხმობს დიდაქტიკისა და მეთოდიკის მუდმივ შესაბამისობას მოსწავლის ასაკობრივ ფსიქო-ემოციურ მახასიათებლებთან და განვითარების პერსპექტივებთან. თუმცა სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა მხოლოდ მე-10 კლასის კურიკულუმი, რომელშიც მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასის მიხედვით და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. აღნიშნული კურიკულუმის მიხედვით საგნობრივი სტანდარტის გათვალისწინებით საშუალო საფეხურზე შედეგები არ მიიღწევა. ამასთან სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. კურიკულუმებში, გარდა მცირე გამონაკლისისა, მოცემული იყო სასწავლო საგნის შინაარსი, საგნის სწავლების მიზნები და ამოცანები, სწავლის შედეგები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უშუალოდ სასწავლო პროცესი წარიმართება საინტერესოდ, აქცენტი კეთდება მოსწავლის შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, რისი მტკიცებულებადაც მოსწავლეთა ნამუშევრები, სპექტაკლები, პროექტები წარმოადგინეს. ეს ყოველივე კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ განვუთარებას. თუმცა უშუალოდ სასწავლო პროცესის დაგეგმვისად ათვლის წერტილს გრძელვადიანი მიზანი არ წარმოადგენს. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება; რა არის გრძელვადიანი მიზანი; როგორ უნდა შეიმუშაონ განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. თავადვე აღნიშნეს რომ საჭიროებენ გადამზადებას ამ კუთხით. შესაბამისად, შემუშავებული კურიკულუმი/ები არ წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა საგნის საბაზო საფეხურის კურიკულუმები, კურიკულუმებში თემების სწორად არის გაწერილი. კლასის საჭიროებებზეა მორგებული

აქტივობები და რესურსები, რომლებიც გამოყენებული არის კონკრეტული საკითხის თუ თემის დამუშავებისას. კურიკულუმის შესაბამისობაშია მოყვანილი მესამე თაობის ე,ს.გ. სტანდატებთან. აქედან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. პირველი და მეორე უცხოურ ენის, სახელმწიფო ენის, ტექნოლოგიების, სპორტის, საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და ესთეტიკურ აღზრდის კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. სწავლების მიზნები და მიმართულებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში არ ჩანდა რამდენად ეფუძნებოდა დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტები გრძელვადიან მიზნებს; როგორ მიდის სკოლა სამიზნე ნიშნულამდე, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. ამასთან სკოლის მიერ კურიკულუმებში აღწერილი მისაღწევი შედეგი არ მოდის თანხვედრაში ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან. გარდა მათემატიკისა სკოლის მიერ წარმოდგენილ X და XII კლასების მათემატიკის კურიკულუმის ჩარჩოში, ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით, გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების მიღწევას.

გასაუბრებისას რამდენიმე კათედრის მასწავლებელმა აღნიშნა, რომ არ იცნობს მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. და ფიქრობენ რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. სკოლას აქვს მზაობა დაწყებით საფეხურზე შეუძლია ყველა კლასისთვის შეიმუშაოს კურიკულუმი, გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებით და ინდიკატორი ჩაითვლება დაკმაყოფილებულად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, კურიკულუმები არ მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები); აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა საგნის საბაზო საფეხურის კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის კურიკულუმის დაფუძნება დანერგვის (დაგეგმვა, შეფასება) ინსტრუმენტების გრძელვადიან მიზნებზე - როგორ მიდის სკოლა სამიზნე ნიშნულამდე, რა საგნობრივ საკითხებს, დავალებებს, თემებს, ძირითად და დამატებით რესურსებს, შეფასების ინსტრუმენტებს სთავაზობს სკოლა საკუთარ მოსწავლეებს პიროვნული განვითარებისთვის/ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. კურიკულუმებში მისაღწევი შედეგის თანხვედრაში მოყვანილია ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან.

3. სკოლა სასწავლო პროცესს ხედავს, როგორც მოსწავლეზე ფოკუსირებული და პოზიტიური გარემოს შექმნისკენ მიმართულ ღონისძიებათა ციკლს, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები , პოტენციალი, საჭიროებები.მასწავლბლები ინტერვიუს დროს ადასრურებენ სპექტაკლებისა თუ სხვადასხვა ჯგუფური სამუშაოს ორგანიზებისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლისთვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სადაც გაწერილია რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ პრობლემის იდენტიფიცირებიდან მოსწავლისათვის სტატუსის მინიჭებამდე, სტატუსის განსაზღვრიდან ინდივიდუალური გეგმის შექმნისათვის, გეგმის განხორციელების პროცესში მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასებით დამთავრებული. თუმცა „დიფერენცირებული სწავლების მიდგომა არ გულისხმობს იმას, რომ თითოეულ მოსწავლეს მიეწოდებოდეს განსხვავებული თემა ან საკითხი. მისი მთავარი ღირებულება მდგომარეობს იმაში, რომ საერთო მიზნის მიღწევის პროცესში კონკრეტული თემა იძლეოდეს მოქნილობას მისი კომპლექსურობის, გამოყენებული სტრატეგიებისა და რესურსების ცვლილების თვალსაზრისით, კონკრეტულ მოსწავლეებთან მიმართებით. (ბაგრატიონი, ტყეშელაშვილი და ქურციკიძე 2021); შესაბამისად რადგან დაწყებითი საფეხურზე მისაღწევი შედეგი არ მოდის შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, ინდიკატორი

დაკმაყოფილებულად ვერ ჩაითვლება. მიუხედავად იმისა, რომ X და XII კლასების მათემატიკისა და ტექნოლოგიების X კლასის კურიკულუმებში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობ , კრიტერიუმები და აქტივობები, რომლებიც ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

ინდიკატორის მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული

4. სსგ-თ სკოლა განსაზღვრავს შეფასების 2 ტიპს საშუალო საფეხურზე, სკოლა განმსაზღვრელ შეფასებას აწარმოებს მეხუთე კლასის მეორე სემესტრიდან ხოლო განმავითარებელ შეფასებას პირველი კლასიდან. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას არ გამოყოფენ სასწავლო პროცესიდან , არამედ პირიქით სასწავლო პროცესის ნაწილად აღიქვამენ მას. განმავითარებელი შეფასების ფორმად მასწავლებლები ასახელებენ ეპოქის რვეულებს, რომელსაც აწარმოებს ყველა მოსწავლე, აგრეთვე სემესტრულ და წლიურ დახასიათებებს, დახიასიათება არის დეტალური და ყველა ძლიერი და სუსტი მხარის დეკლარირებით, საჭირო რჩევების მითითებოთ. მასწავლებელთა წარმოდგენილი შეფასების ნიმუშები და ინტერვიუს დროს აღწერილი პროცესის მიხედვით, სკოლას ზოგადად აქვს შესაძლებლობა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება აწარმოოს იმგვარად, რომ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს ამისათვის მასწავლებლებს აქვთ მზაობა, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება და შექმნან განმსაზღვრელი და განავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიემეართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

5. **ინტერვიუს დროს,** მასწავლებლების მხრიდან აღინიშნა, მათი მხრიდან მუდმივად მიმდინარეობს თითოეულ აქტივობაზე დაკვირვება და სწორედ ამგვარად სხვადასხვა სახით შეგროვილი მონაცემების საფუძველზე დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების გათვალისწინება, იქნება ეს გაკვეთილის დაგეგმვა, აქტივობის, პროექტის თუ სხვა მიმდინარე პროცესი.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტში სკოლა გასაზღვრავს რომ ითვალისწინებს წინარე გამოცდილების ანალიზს, ხარისხის მართვის ჯგუფი უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს არსებული მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. აგრეთვე დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს სპექტაკლებზე, გაკვეთლებზე, როგორც სკოლაში, ასევე გასვლით გაკვეთილებზე და იზიარებენ ერთმანეთის გამოცდილებას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნის კურიკულუმი
- მასწავლებლის წლიური ანგარიში
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა ბაღის ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კურიკულუმები(დაწყებითი, საბაზო საშუალო საფეხური) დანართი 1 სსგ 2022-23 სასწავლო წელი
- სკოლის ვებ. გვერდი და FACEBOOK გვერდი
- ინტერვიუ მასწავლებლებთან
- სსსმ მოსწავლეთა სერვისების მიწოდების რეგულაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში, (FACEBOOK, ვებ. გვედრზე განთავსებული მასალა) მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მოსწავლეები აქტიურად არიან შემოქმედებით პროცესში ჩართულები,მასწავლებლები ახორციელებენ ისეთ აქტივობებს, სადაც მოსწავლე არის ცენტრალური სუბიექტი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას და ამუშავებს მას. სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული ეპოქალური სწავლების პარადიგმა ადასტურებს რომ მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გაღვივება ხდება საინტერესო, მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებით. ვალდორფის მეთოდებით სწავლება იძლევა საშუალებას მოსწავლეთა შინაგანი მოტივაცია იყოს გააქტიურებული და აქტიურად იყვნენ ჩართულნი შემოქმედებით პროცესებში. ქართული ენისა და ლიტერატურის გაკეთილებზე მომზადებული დავალებები, შექმნილი პროდუქტები ამის მაგალითია. საშუალო საფეხურზე, მე-10,მე-11 კლასში მოსწავლეები გადიან სოციალურ პრაქტიკას, რომლის დროსაც ისინი არიან აქტიურად ჩართულნი შემოქმედებით პროცესებში, საბუნებისმეტყველო გაკვეთილებზე საგნების სწავლება ხორციელდება ე. წ. ეპოქის გაკვეთილების საშუალებით სადაც მოსწავლეები ეპოქის ფარგლებში ამუშავებენ გარკეულ თემებს და საკითხებს, ატარებენ ცდებს დაკვირვებებს, იაზრებენ ბუნებრივ მოვლენებს და ქმნიან პროდუქტს შესწავლილი თემის თუ საკითხის შეასაბამისად. სასწავლო პროცესის განხორციელება ხდება როგორც საკლასო გარემოში, ასევე გასვლითი გაკვეთილების სახითაც, საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით. ვალდორფის სკოლებში ბუნებისმეტყველების სწავლება ხდება ერთიანი სურათ-ხატის ფარგლებში, მოსწავლეები გარემოს უშუალოდ აკვირდებიან და აღმოჩენის გზით შეიმეცნებენ. პროცესის ცენტრში მოსწავლეა. მასწავლებლები ადევნებენ თვალს, უხსნიან და გზადაგზა, აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. ასეთი ფორმის და შინაარსის აქტივობები მოსწავლეს უვითარებს სამყაროსთან მიკუთვნებულობის განცდას, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. არა

მარტო მეცნიერული კუთხით, არამედ ზოგადი უნარების განვითარება ხდება მუშაობის ყოველ ეტაპზე. გამოსარჩევია ასევე ესთეტიკური აღზრდის საგნები, მის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მოსწავლეს აძლევს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლბლობას. გარდა პრაქტიკებისა - XI კლასში ვალდორფის სკოლის მოსწავლეებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამუშაოს წარმოადგენს სპექტაკლზე მუშაობა, რაც მოსწავლის შინაგან მოტივაციას კიდევ უფრო ააქტიურებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა რომ მოსწავლისთვის შეთავაზებული დავალებების კონტექსტი და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტები, გასვლითი მეცადინეობები, თანამშრომლობითი აქტივობები და სხვა - ეხმარება სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებას მიუახლოვდეს და გაითვალისწინოს მისი წინარე ცოდნა, მოსწავლეები საკუთარ გამოცდილებას ააქტიურებენ და ქმნიან სხვადასხვა პროდუქტს, კეთებით სწავლობენ. სკოლაში არსებული ეპოქალური სწავლების სტრუქტურა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამყაროს გაცნობის, მასალის გაგების, მიღებული ცოდნის უნარად გარდაქმნისა და წინარე ცოდნის გააქტიურების პროცესში. სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. ძირითადად კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. სწავლების მიზნები და მიმართულებები, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. იმისათვის რომ ახალი ცოდნის დაფუძნება მოხდეს წინარე ცოდნაზე დაფუძნებით საჭიროა გათვალისწინებული იყოს ორი ფაქტორი: თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებებით მუშაობა. სკოლის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვას ადგილი არ აქვს. მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებებითა და შემაჯამებლების ანალიზით თუ ვიმსჯელებთ მასწავლებლებლები ახორციელებელ კომპლექსური ბუნების დავალებებს. მიუხედავად იმ ფაქტისა რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, პრობლემა მაინც საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაშია, რაც აფერხებს რეალურის სურათის დანახვის შესაძლებლობას. მიუხედავად

ზემოთაღნიშნულისა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებზე, შემაჯამებლის ანალიზისა და მითითებულ სასწავლო რესურსებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნთ რომ ახალი ცოდნის კონსტრუირება წინარე ცოდნზე დაფუძნებით მიმდინარეობს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები, როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. სხვადასხვა საგნის მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები, რომლებიც სტანდარტში მაკრო ცნებების სახითაა მოცემული და ასახავენ ევროკავშირის მიერ განსაზღვრულ XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენციას. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია რომ „ ისწავლო სწავლა“ - ნიშნავს სასწავლო პროცესის დაწყებისა და წარმართვის ორგანიზების უნარს, როგორც პერსონალურად, ისე ჯგუფურად. რაც მოიცავს პირად სასწავლო საჭიროებათა გაცნობიერებას, სასწავლო შეთავაზებების მოძიებას და დაბრკოლებების გადალახვის უნარს, სასწავლო წარმატებისთვის.“ რადგან უცხო ენისა და მათემატიკის კურიკულუმში არ არის წარმოდგენილი თემატური დაგეგმვა, არ არის მოცემული კომპლექსური დავალებების იდიეები, საკითხები, ქვესაკითხები ვერ ხერხდება დადგენა როგორ ხორციელდება სწავლის სწავლა. მოსწავლეების ცალკეულ ნამუშევრებში შესაძლებელია შეიმჩნეოდეს ცალკეულ უნარსა თუ ღირებულებებზე მუშაობის ელემენტები, თუმცა ეს საკმარისი არ არის.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ტექნოლოგიების, სპორტის, საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და ესთეტიკური აღზრდის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ეს ინდიკატორი მოთხოვნებთან შესაბამისია, რადგან ინტერვიუს დროს პედაგოგებთან საუბრისას ჩანს, მათ მიერ გავლილი პრაქტიკის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესში აქტიურად არის გამოყენებული მოსწავლეთა განსხვავებული ხედვები, პრობლემის

აღმოჩნისა და გადაჭრის გზების ძიება. სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესში აქცენტები კეთდება ისეთ რესურსების გამოყენებაზე და სწავლების იმ მეთოდების დანერგვაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ ჩვევების გამოვლენას.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში თემატური დაგეგმვის, კომპლექსური დავალებების იდეების, საკითხების, ქვესაკითხების გათვალისწინებას.აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

4. სკოლის მიერ წაროდგენილი მასალები, აქტივობები, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებები ადასტურებს, რომ მოსწავლეები აქცენტს აკეთებენ პირობისეულ ცოდნაზე, ეპოქის რვეული, სპექტაკლები ეპოქის ბოლოს, შემაჯამებელი დავალებები და სხვ. ამის დასტურია. მიუხედავად იმისა რომ მათ არ აქვთ გაწერილი შესაბამის ჩარჩოში კომპლექსური დავალებები, მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური ხასიათის დავალებები იძლევა ცოდნის სამივე კატეგორიის დაფარვისა და გააქტიურების საშუალებას. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს ისაუბრეს სასწავლო მასალის სიღრმისეული შესწავლის, გააზრების მნიშვნელობაზე. აღნიშნეს რომ მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური ხასიათის დავალებები ეხმარება მოსწავლეებს განივითარონ საარზოვნო უნარები. ისინი დავალების პირობას შეიმუშავებენ ისე, რომ მუშაობის პროცესში მოსწავლეებმა გამოიყენეონ ცოდნის სამივე კატეგორია. მათთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებმა სკოლაში მიღებული ცოდნა გამოიყენეონ ცხოვრებაში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. სკოლა სსგ-ით განსაზღვარს ეპოქალური სწავლების პარადიგმას და ვალდორფის პედაგოგიკის ეს დიდაქტიკური საგაკვეთილო ფორმა „ეკონომიური“ სწავლების საუკეთესო საგაკვეთილო მოდელად განიხილება, რომელიც სხვადასხვა საგანთა ინტეგრირების საშუალებასაც იძლევა. სკოლამ წარმოადგინა ექსკურსიების, გასვლითი გკვეთილების ჩანაწერები, რომლებითაც დასტურდება, რომ მოსწავლეები ახდენენ ცოდნათა ორგანიზებას, ამჟღავნებენ სოციალურ უნარებს, ისტორიასა და გარემოზე ზემოქმედების საშუალებებს აკავშირებენ ერთმანეთთან და სხვ. ასევე მე-11კლასში პროექტის ფარგლებში მოსწავლეები მუშაობდნენ ილუსტრირების მიმართულებით. „პარციფალის“ ეპოქა ინტეგრირებული იყო ისტორიასთან. ეპოქის ფარგლებში მოწვეულ იქნა გრაფიკული დიზაინის სპეციალისტი და დაეხმარა ილუსტრირებული წიგნის შექმნაში.

მაგრამ რადგანაც სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები, კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. ასევე, მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმებში არ ჩანს თემატური დაგეგმვა, კომპლექსური დავალების იდეები. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები კი სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. მოსწავლის ცალკეულ ნამუშევრებში ჩანს კომპლექსური ბუნების დავალებებზე მუშაობა, თუმცა ეს მთლიანი სურათის შესაფასებლად საკმარისი არ არის. ასევე მასწავლებლებს აქვთ ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარების გამოცდილება , რომლის დამადასტურებელ საბუთად მხოლოდ მოსწავლის ნამუშევარი შეუძლიათ წარადგინონ. ვერ წარმოადგინეს მსგავსი ტიპის გაკვეთილების დაგეგმვის ნიმუში, რომელიც მოგვცემდა სურათს მსგავსი ტიპის გაკვეთილებზე მუშაობის მიზანი პროდუქტის წარდგენაა თუ პროდუქტზე მუშაობისთვის საჭირო ცოდნათა ორგანიზება.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს კომპლექსური დავალების იდეების შემუშავებას, რომლებიც მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას მოითხოვს. აღნიშნული აქტივობის შესრულების

ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- შემაჯამებლის ანალიზი
- საგნობრივი კურიკულუმი
- შემაჯამებლის ანალიზი
- მისიისა და ხედვის დოკუმენტი

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. ძირითადად კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეგები კლასების მიხედვით. ასევე მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში მოცემლი არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს,საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე. ქართული ენისა და ლიტერატურის მე-10 კლასის კურიკულუმში, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, საკითხები, ქვესაკითხები, შესასწავლი ტექსტები, რესურსები, კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც მიემართება კონკრეტულ სამიზნე ცნებას, მასწავლაბელთან ინტერვიუს დროს დავაზუსტე, როგორ ახერხებდა მასწავლებელი სამიზნე ცნების დაფარვას, კათედრაზე, მასწავლებლებს ბოლომდე გააზრებული არ აქვთ კომპლექსური დავალების საშუალებით, სასწავლო პროცესში როგორ შეიძლება დაიფაროს ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები ,,გადაიქცეს" შეფასების კრიტერიუმებად გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება; რა არის გრძელვადიანი მიზანი; თავადვე აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ვერ უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს კურიკულუმებში სტანდარტის ინდიკატორების და მისაღწევი შედეეგების გათვალისწინებას კლასების მიხედვით. მიზნების და მიმართულებების გათვალისწინებას, რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში მოდის. კურიკულუმში თემატურ ბლოკების, სამიზნე ცნებების, საკითხების და

ქვესაკითხების გათვალისწინებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

2. ბუნებისმეტყველების, მათემატიკის, ტექნოლოგიების, ესთეტიკური აღზრდის, სახელმწიფო ენისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, ეს კი ჩანს მოსწავლეთა შესრულებულ დავალებებში, არაფორმალური განათლების ღონისიძიებებში, სასკოლო სასწავლო გეგმის სხვადასხვა მონაკვეთში. საგნობრივი საკითხვები შერჩეულია მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობების, მისი უახლოესი განვითარების ზონის გათვალისნიწნებით. ჩანაწერი სსგ-ში: კვალიფიკაციის გათვალისწინებით, სკოლა უფლებამოსილებას ანიჭებს პედაგოგს, გარდა განსაზღვრული სახელმძღვანელოებისა, თავად შეარჩიოს მასალა და მისი გადაცემის ფორმები, რაც უზრუნველყოფს პედაგოგის შემოქმედებითობასა და თავისუფლებას. პედაგოგი, კლასის თავისებურებებზე დაყრდნობით, მოსწავლეებს გადასცემს საინტერესო, მრავალმხრივ აღქმად შინაარსებს, ამით აცოცხლებს სასწავლო პროცესს და აღწევს სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებს. სპორტის ექსპერტიც დასძენს, პედაგოგოებთან გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლის მიერ შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობები , მათ შორის არაფორმალური განათლების კუთხითაც და წარმოდგენილ კურიკულუმებში შეტანილი რესურსი უზრუნველყოფს ფიზიკური უნარებისა და ორგანიზებულობისა და თვითკონტროლის უნარების განვითარებას. კურილულემებში გაწერილ თემებზე დართული, რომლებიც ასახავს სხვდასხვა სპორტის სახეობის ისტორიებს, აგრეთვე მასწავლებლის მიერ დაგეგმილი მოსწავლეების შესაქმნელი პროექტები, ხელს შეუწყობენ მოსწავლეთა ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასა და მათ სულიერ კეთილდღეობას. აქვე ესთეტიკური აღზრდის ექსპერტი აღნიშნავს, რომკურიკულუმის დანართებში ჩანს ესთეტიკის კათედრის მიერ განხორციელებული საგნობრივი

კონტექსტები და მრავალფეროვანი მაგალითები, წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

მაგრამ ინდიკატორის მოთხოვნებს დაკმაყოფილებულად ვერ მოიაზრებს უცხოური ენის ექსპერტი. საშუალო არაა წარმოდგენილი მათემატიკის კურიკულუმები. პირველ და მეორე უცხოურ ენაში, ასევე ტექნოლოგიების კურიკულუმებში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. კურიკულუმში მოცემული არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს,საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება; რა არის გრძელვადიანი მიზანი; თავადვე აღნიშნეს რომ ამ მიმართულებით საჭიროებენ გადამზადებას. შესაბამისად, რადგან კურიკულუმში საგნობრივი კონტექსტები მოცემული არ არის, არ გვაქვს სურათი, მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული საგნობრივი კონტექსტები რამდენად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს კურიკულუმში საგნობრივი კონტექსტების გათვალისწინებას, რომელიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.09.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია საგნობრივი კათედრები, პედაგოგები, სასწავლო პროცესის კოორდინატორი

3. სახელმწიფო ენაში - საშუალო საფეხურზე განმავითრებელი და განმსაზღვრელი შეფასება გამოიყენება, განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს მოსწავლის მოსწრებისა და განვითარების ვრცელ დახასიათებას, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს გაიცემა. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი განმავითარებელ კომენტარებს აძლევენ მოსწავლეებს რვეულებში დაფიქსირებით, სემესტრისა და წლის ბოლოს ვრცელ დახასიათებას, რომელიც არის ჰოლისტური.

ბუნებისმეტყველების, სპორტის, მათემატიკის, ესთეტიკური აღზრდის, საზოგდოებრივი მეცნიერებებისა და ტექნოლოგიების ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ მასწავლებლებმა ინტერვიუში ისაუბრეს ჰოლისტური შეფასების გამოყენებაზე მოსწავლეების ზოგადი შეფასებისთვის, ხოლო განმავითარებელი შეფასებისთვის იყენებენ განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებსა და სიტყვიერ კომენტარს.

სკოლამ საშუალო საფეხურზე წარმოადგინა 2022-2023 წლის კურიკულუმები. მასში მოცემული იყო სტანდარტის ინდიკატორები და მისაღწევი შედეეგები კლასების მიხედვით. ასევე, უცხოური ენის სწავლების მიზნები და მიმართულებები რომლებიც ეროვნულ სასწავლო გეგმასთან თანხვედრაში არ მოდიოდა. კურიკულუმში მოცემლი არ არის რა თემატურ ბლოკებს, სამიზნე ცნებებს,საკითხებს და ქვესაკითხებს ამუშავებენ საფეხურზე. 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმაში აღნიშნულია რომ ხელმძღვანელობენ ორი ტიპის შეფასებით: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. თუმცა ვერცერთ მათგანში რუბრიკების წარმოდგენა ვერ მოხერხდა. სკოლის მიერ წარმოდგენილი ფიზიკური აღზრდის და სპორტის, ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურისთვის არ აქვთ წარმოდგენილი თემების მიხედვით შედგენილი შეფასების რუბრიკები, რომელიც ეყრდნობა სტანდარტში წარმოდგენილი შედეგების მიღწევის ინდიკატორებს.

გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არ იცნობენ მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. ვერ პასუხობენ ისეთ შეკითხვებს როგორიცაა: რა არის სამიზნე ცნება, ქვეცნება, გრძელვადიანი მიზანი, როგორ უნდა შემუშავდეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. შესაბამისად, შეფასების სისტემა ორიენტირებული არ არიმ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს შეფასების რუბრიკების ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

4. სახელმწიფო ენის, ტექნოლოგიების, ბუნებისმეტყველებისა და სპორტის ექსპერტები ყურადთებას ამახვილებენ - ინტერვიუს დროს მიღებულ ინფორმაციაზე შეფასების სისტემის სანდოობის, ობიქტურობის, ვალიდურობისთვის შეფასების რუბრიკები კათედრაზე მუშავდება, მასში ჩართულია ხარისხის მართვის ჯგუფი. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, წინასწარ აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს თავადაც აფასებინებენ ერთმანეთს და თვითშეფასებასაც მიმართავენ. უცხოური ენებისა და მათემატიკის ექსპერტები აღნიშნავეენ რომ შეფასების კონცეფციას და მიზანს განსაზღვრავს მესამე თაობის ესგ (სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები/შედეგები, სამიზნე ცნებები, საკვანძო შეკითხვები და მკვიდრი წარმოდგენები). სკოლაში მოქმედებს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი და განმავითარებელი შეფასება. შეფასება, რადგან სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. მნიშვნელოვანია რომ ის სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული, გააზრებული და გაზიარებული იყოს. აუცილებელია შეფასების დიზაინის შემუშავების პროცესში მოსწავლეების ჩართვა და მათი ობიექტური აზრის გათვალისწინება. შეფასების სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ვალიდურობა, გამჭვირვალობა, სანდოობა, ობიექტურობა და სამართლიანობა. სკოლას არ აქვს წარმოდგენილი შეფასების. რუბრიკები. .კათედრას აქვს მზაობა გამოცდილების გაზიარების შემთხვევაში დააკმაყოფილოს აღნიშნული ინდიკატორი, **სკოლა არ აკმაყოფილებს** სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს მოცემული ინდიკატორის შესაბამისად.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტიც დასძენს რომ კათედრაზე აქვთ შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი, თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, თუმცა ეს კრიტერიუმები არ უკავშირდება ცნებებსა და მის მკვიდრ წარმოდგენებს. აქედან გამომდინარე არ არის ვალიდური.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს რუბრიკების მესამე თაობის ესგ-ის მიხედვით შემუშავებას, შეფასების კონცეფციის და მიზანის განსაზღვრას (სტანდარტით გათვალისწინებული გრძელვადიანი სასწავლო მიზნები/შედეგები, სამიზნე ცნებები, საკვანძო შეკითხვები და მკვიდრი წარმოდგენები). შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

5. საფეხურზე სკოლას ცალკე დოკუმენტად ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი არ წარმოუდგენია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები აკეთებენ შემაჯამებლის ანალიზებს, ყოველკვირეულად მიმდინარეობს შეხვედრები, სასწავლო წლის დასასრულს მასწავლებელი წერს მოსწავლის დახასიათებას და აღწერს მის მიერ მიღწეულ შედეგებს. თუმცა, შეფასების და ცოდნის გადამოწმების სისტემებმა პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს გრძელვადიანი მიზნებით გათვალისწინებულ ცოდნასა და უნარებს, იქნება ეს საგნობრივი სტანდარტების შედეგები, თუ ეროვნულ სასწავლო გეგმით გათვალსიწინებული ფუქნციურ კომპონენტური უნარები და გამჭოლი პრიორიტეტები.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმის შემუშავებას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

6. სკოლას საქმეთა მმართველის ფუნციაში გაწერილი აქვს მისი პასუხისმგებლობა მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებასთან დაკავშირებით მასში ახალი ინფორმაციის ასახვა, შესაბამისად შეფასების მასალებიც ინახება პირად საქმეში, ინტერვიუს დროს მასწავლებლები წარმაოდგენენ ეპოქის რვეულებს, სხვადასხვა შეფასებულ აქტივობას და ადასტურებენ, რომ სკოლა ინახავს აღნიშნულ მასალას. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსგ
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
- ეპოქის რვეული
- მოსწავლის განმავითარებელი დახასიათება
- მოსწავლეთა შემაჯამებელი წერები
- სასწავლო პროექტები
- შეფასების რუბრიკები
- შეფასების ანალიზის ფორმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4 უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო. ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი სასკოლო საზოგადოების ფუნქცია მოვალეობები, სადაც ნათლად იკითხება თითოეული მათგანის როლი, რაც ხელს უწყობს ჩამოაყალიბოს სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე. სწავლა მიმდინარეობს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ინტერაქციას ენიჭება, ჩანს რომ მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. სკოლას აქვს რესურსები, სახელოსნოები, სხვადასხვა სახელოვნებო საგნების სწავლებისათვის, ყურადღება ექცევა მოსწავლეთა კვებას აქვთ სასადილო და გაკვეთილებს შორის გამოყოფილი დრო მოსწავლეთა კვებისათვის. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების გუნდი, რომელიც ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე და ზრუნავს მოსწვლეთა დიფერნცილებულ სწავლებაზე. სკოლაში სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების მხარდასაჭერად შექმნილია მულტიდისციპლინური გუნდი, რომელსაც ევალება პროცესების მონიტორინგი და შეფასება. საგაკვეთილო პროცესის დახვეწის და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით სსსმ მოსწავლისათვის შემუშავებულია შიდა მონიტორინგის ფურცელი. ხორციელდება სასკოლო ღონისძიებები და საგნობრივი პროექტები, რომელიც მოსწავლეს რეალიზების საშუალებას აძლევს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლა ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პრიორიტეტად ასახავს მოსწავლეებისთვის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი განათლების მიცემას, რომელსაც კათედრების აქტიური მუშაობის შედეგად მიღწევას გეგმავს, კათედრებს კომპლექსური დავალებების წარმოდგენის ვალდებულებას ანიჭებს და ამ გზით მოსწავლეზე ორინტირებული სასწავლო პროცესის განხორციელებას შეუწყობს ხელს. ამასთან დაწყებით საფეხურზე მოსწავლეების ჩართულობა სასწავლო პროცესში მაღალია. სასკოლო სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლის ინტერესები, საჭიროებები და შესაძლებლობები. ყოველივე ზემოთაღნიშნული კი ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნული განვითარებას.

ინდიკატრის მოთხოვნები დაკმაყოფილებუ;ლია

3. სკოლის შინაგანაწესში, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში, ერთწლიან გეგმაში გაწერილია თანამშრომლოითი კულტურის გასაძლიერებელი მექანიზმები. კათედრების თანაშრომლობა, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლობა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა რომ ისინიც ხელშემწყობნი არიან მოსწავლეთა შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის გაღვივებას, ჯგუფური სამუშაოები, წყვილებში მუშაობა ეხმარება მათ განავითარონ ეს უნარები მოსწავლეებში. თანამშრომლობა და გუნდურობა სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა. რაც ბევრ სხვადასხვა ასპექტში ვლინდება. სკოლა ყოველკვირეულად იკრიბება მასწავლებელთა კონფერენციაზე და სასკოლო სასწავლო პროცესებთან დაკავშირებულ საკითხებს უზიარებენ ერთმანეთს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად სკოლა აძლიერებს თანამშრომლობით კავშირებს სასკოლო საზოგადოებას შორის, გაზიარებულ ღირებებულებსა და ნორმებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. პოზიტიური კლიმატის დადასტურებაა ის არაფორმალური აქტივობები, ღონისძიებები რომელბიც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში ჩანს. სკოლა მისიაძიც ხაზს უსვამს შემდეგს: მოსწავლის ჯანსაღი განვითარებისთვის პედაგოგები და მშობლები აქტიურად თანამშრომლობენ და პასუხისმგებლობებს ინაწილებენ როგორც აღმზრდელობით, ასევე სკოლის მართვის სფეროში.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- ერთლიანი გეგმა
- სკოლის მისია
- სსგ
- ეპოქის რვეული
- უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები,
- „თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის კავშირის“ გამგეობის, გაძღოლის კონფერენციის და საინიციატივო ჯგუფის შეთანხმება სათათბიროს რეგლამენტის თაობაზე.
- კათედრის ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცედურები, მონიტორინგსა და შეფასების ნაწილი ძირითადად განსაზღვრულია ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქცია-მოვალეობებში, ხარისხის მართვ ის ჯგუფი ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს,

შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" ციკლის პრინციპით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი რომელიც ახორციელებს როგორც მონიტორინგს ასევე შეფასებას. ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს, შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას. შემუშავებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას, ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობდესების მიზნით.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ატარებს გამოკითხვას მოსწავლეებთან, მშობლებთან მასწავლებლებთან არსებული პრობლემების გამოსავლენად და გამოითხვის შედეგებს იყენებს პრობლემის გადასაჭრელად. სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს ,,დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე" ციკლის პრინციპით. სკოლაში მოქმედებს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს როგორც მონიტორინგს ასევე შეფასებას. ასევე უზრნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმის უკუკავშირის შედეგების ანალიზს, შემდგომ დაგეგმვასა და რეკომენდაციების შემუშავებას სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით; მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ სასწავლო წლის მანძილზე, მონიტორინგისა და

შეფასებისას გამოკვეთილი მიღწევები და პრობლემები, გაანალიზდება დაიგეგმება არსებული გამოწვევების მოგვარების გზები, ამ მიმართულებით. ყველა კათედრა მჭიდრო კომუნიკაციაშია სხვა საგნობრივ კათედრებთან და მათთან ერთად გეგმავს თავის საქმიანობას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის მართვის პოლიტიკა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- სსგ
- კურიკულუმის მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის შეფასებას ახორციელებს სკოლაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეული თავიანთი უფლება-მოვალეობების ფარგლებში, სასწავლო პროცესის კოორდინატორი, ხარისხის მართვის ჯგუფი, კათედრის თავმჯდომარე, კონკრეტული მასწავლებელი და ა.შ აგრეთვე მოსწავლეებს და მშობლებს ეგზავნებათ კითხვარები, ხდება მათი გაანალიზება და უკუკავშირის გათვალისწინება, მაგრამ სკოლას წამოდგენილი არ აქვს სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებლი წყაროების გამოკითხვის ფორმები, მათი ანალიზი.

აღნიშნული იყო ასახული დასკვნის პროექტში, სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს სასწავლო პროცესის შეფასებისთვის გამოყენებლი წყაროების გამოკითხვის ფორმების, მათი ანალიზის უზრუნველყოფას. შესაბამისად დაფიქსირებული ხარვეზი გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში. აღნიშნული აქტივობის შესრულების ვადებია - 24.08.2023-26.12.2023 და პასუხისმგებელ სტრუქტურებად/პირებად გამოყოფილია სასწ პროცესის კოორდინატორი, საგნობრივი კათედრები

2. სკოლაში შეფასების პროცესი მიმდინარეობს არა ცალმხრივად, არამედ ჰოლისტურად, სადაც გათვალისწინებულია მრავალი კონტექსტი, მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა რომ შეფასებისას ყურადღებას ამახვილებენ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწვალეთა ინტერესებზე და ისე გეგმავენ როგორც მიმდინარე საგაკვეთილო პროცესს, ასევე ეპოქის გაკვეთილებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

3. მასწავლებელთა ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასების უპირველეს მეთოდად სახავენ მასწავლებელის მიერ დაკვირვებასა და ჩანაწერებს, რომელსაც ისინი მაგალითად აკეთებენ მოსწავლის რეფლექსიებში, საკუთარ ჟურნალში. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმებს და ა.შ. რაც შეეხება სასწავლო პროცესის შეფასებას, აქაც მონაცემები გროვდება მასწავლებელთა რეფლექსიების, კათედრის ოქმების, ხარისხის მართვის ჯგუფის, სასწავლო პროცესის კოორდინატორის ანგარიშის, მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგად.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. სკოლა სსგ-ის ერთ-ერთ თავში საუბრობს შეფასების სპეციფიკაზე, მეთოდებზე. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა შეფასებისას ითვალისწინებენ მოსწავლის ფსიქო-სოციალურ მდგომარეობას, მოსწავლეთა დიაგნოსტრებას და საჭიროებებსი დადგენას დაკვირვებით ახორციელებენ ძირითადად, რომლის დროსაც მრავალი ფაქტორის გათვალისწინება ხდება.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☑ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილი აქვს პედაგოგიური კონფერენცია, მშობლებთან თანამშრომლობის, საგნობრივი კათედრების, ხარისხის მართვის ჯგუფის ფუნქცია მოვალეობები და ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურები , აგრეთვე ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოუმენტი არეგულირებს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მონაწილეობასა სსსგ-ის განვითარებაში. აღნიშნული დოკუმენტები საშუალებას

იძლევა დადგინდეს რომ იქმნება კურიკულუმის განვიათარებისათვის რეკომენდაცების პაკეტი. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი ან მათი წარმომადგენლები მონაწილეობენ სასწავლო წლის, სემესტრის შემაჯამებელ სხდომებში და აფიქსირებენ საკუთარ მოსაზრებებს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის რევიზირებული ვერსიის შესაქმნელად საჭირო აქტივობებად მასწავლებლები ასახელებენ კათედრაზე მიმდინარე პროცესებს, მაგალითად გამოცდილების ურთიერთგაზიარება, მოსწავლეთა გამოითხვის ანალიზი და მის საფუძველზე გამოვლენილი წამატებული თუ ხარვეზის შემცველი გამოცდილების გამოყენებას. კურიკულუმის მეთოდოლოგია აღწერს გადამუშავებული კურიკულუმის შექმნის პროცესს.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ხარისხის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- სსგ
- მასწავლებლებთან ინტერვიუ
- კურიკულუმის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☑ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....
.....
.....
.....

15.09.2023
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხატია მჭედლიშვილი /ხატია მჭედლიშვილი

რომან გაბუნია /რომან გაბუნია /

შორენა გაგნიძე / შორენა გაგნიძე /

თამარ კვანტიძე /თამარ კვანტიძე/

ნინო ბურჯანაძე /ნინო ბურჯანაძე/

ნანი სალია /ნანი სალია/

თინათინ მარქარაშვილი /თინათინ მარქარაშვილი/

ეკატერინე კვირკველია /ეკატერინე კვირკველია/

თამარი დეკანოსიძე /თამარი დეკანოსიძე/

ქეთევან ბორაშვილი /ქეთევან ბორაშვილი/